კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა.

საისტორიო ბიბლიოთეკა

ე. უზნაძის რედაქტორობით.

№ 2.

ისლამი

და არაბთა სახელმწიფო.

მიულერიდან.



ქ. ქუთაისი.
ქართ. შორის წ.-კ. გამ. საზ. ქუთ. განყ. სტამბა.
1914 წ.

კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა.

29000

ისლამი

და არაბთა სახელმწიფო.

მიულერიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ГССР

დ. უზნაძის რედაქტორობით.

ქ. ქუთაისი.
სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის ქუჩა, № 17.
1914

ისლამის ღმერთი.

„არა არს ღმერთი, გარდა ღვთისა, და მაჰმადი—ღვთის მოციქულია?“ თუ ამას დავუმატებთ საშინელი განკითხვისა და მკვდრეთით აღდგომის რწმენას, მაშინ ჩვენ ისლამის ყველა ძირითადი დოგმატი გვეცოდინება. პირველი შეხედვით, მხოლოდ ერთი მათგანი გვეჩვენება ორიგინალურათ: მტკიცება, რომ მაჰმადი მოციქულია ღვთისა. ხოლო ორი სხვა ნასესხებია ებრაელთა და ქრისტიანთაგან. მაგრამ ნამდვილათ კი მაჰმადიანური შემეცნება „ღვთისა“ განსხვავდება ებრაულისა და ქრისტიანულისაგან.

მაჰმადი სთვლიდა, რასაკვირველია, ღმერთს ქვეყნის შემომქმედათ, ცოცხალთა და მკვდართა მსაჯულათ უკანასკნელ დღეს, „უკუნითად“ „ყოვლადშემძლეთ“, მაგრამ არა „წმიდათ“ და არა „მართლმსაჯულათ“. ღმერთი ყურანისა ურწმუნოს ულმობელათ სჯის, თითქმის სიამოვნებითაც, სწორეთ ისე, როგორც რომელიმე შურის მაძიებელი არაბი უსწორდება ხოლმე ვისმე პირადი შეურაცხყოფისათვის. როცა ღმერთი ბრძანებს რასმე, არა იმიტომ, რომ ეს ბრძანება კარგი და სამართლიანია, არამედ იმიტომ, რომ მას ასე სურს. თითქმის უკანასკნელ დროშიც მუსულმანმა სქოლასტებმა, რაზომ გამჭრიახობაც უნდა გამოეჩინათ მათ, მაინც ვერ შესძლეს ეპოვათ ყურანში ხელმძღვანელი აზრი, რომლის საშვალებითაც შესაძლებელი იქმნებოდა ღვთის განკარგულების ახსნა-გარმატება.

„ასე ენება ღმერთსო“—ძალიან ხშირათ ეს დებულება იყო ერთადერთი ამხსნელი საშვალება. არაა საკვირველი, თუ მუსულმანს თვისი ღმერთი, როგორც ზეციერი მამა არ უყვარს

იმოდენათ, რამოდენათაც მას ეშინია მისი როგორც მრისხანე მსაჯულისა, რომლის შემთხვევითს ჯინიანობასა და დაჩემებას ვერც ვერავიც წინათვე იგრძნობს და ვერც ვერავინ აუხვევს გვერდს. უუგვიანესი დოგმატიკა ამ მხრით ყურანზე კიდევ უფრო საშინელია. მაჰმადის ღმერთი, სხვა თუ არა, თავისი წინასწარმეტყველისთვის მაინც ჰპოვებდა სიყვარულისა და ნუგეშინის სიტყვებს; ღმერთი უუგვიანესი დოგმატიკისა კი ტირანია თითქმის მათთვისაც, ვისაც რწამს იგი: ადამიანი მის წინაშე მონაა და სხვა არაფერი. უკვე თვითონ მაჰმადს გამოუმუშავდა აზრი „ბედისწერაზე", ე. ი. შესახებ იმისა, რომ ღმერთმა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა გადაწყვიტა—ხალხში რომელი ირწმუნებს მას და ამით თავს იხსნის და რომელი მიიბრჯნება ურწმუნოებაში და დაისჯება.

მაგრამ წარმოდგენა მაჰმადისა ამ საკითხის შესახებ ვერ იყო ნათელი სწორეთ ისე, როგორც სხვა ბევრ შემთხვევაშიც. იმ ცნებებთან ერთად, რომელნიც გვიჩვენებენ ბედისწერის აუცილებლობას, ყურანში არის ადგილები, რომელთაგანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ წინასწარმეტყველი ადამიანის ნებას თავისუფლათ სთვლიდა. შემდეგში, მხოლოდ ბიძანტიასა და სპარსელებთან გამწვავებული ბრძოლის ეპოქაში, არაბებს საბოლოოთ გამოუმუშავდათ მტკიცე რწმენა, რომ „მართლმორწმუნეთა" და „ურწმუნოთა" შორის გაუვალი უფსკრულია, და რომ ეს უფსკრული დასაბამიდანვე შექმნა თვითონ უფალმა ღმერთმა.

და საფუძველი იმ **ფანატიზმისა**, რომელიც წარმოადგენს მუსულმანური მსოფლმხედველობის ფრიად ცნობილსა და ნიშანდობლივ თვისებას, სწორეთ ამ ბედესწერის მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ. ფატალიზმი სისხლსა და ხორცში აქვსთ გამჯდარი აღმოსავლეთის ხალხებს, ისლამის აღმსარებელთ: მაჰმადიანი დარწმუნებულია, რომ მისი „ბედი" „დაწერილია"

ცაზე: ამიტომაა იგი გულცივი და მომთმენი ჭირში, ღირსეულათ ხვთება ყველაფერს, რასაც გამოლგზავნის ბედი, რომელსაც, სულ ერთია, მაინც ვერ გაექცევა.

ღვთაებაზე წარმოდგენა, რომელსაც ყურანში ვპოვებთ, ძალიან მარტივია, თუმცა მას არა ერთხელ მიუცია საბაბი ღვთისმეტყველთა ცილობისათვის. როცა მაჰმადი გაეცნო ქრისტიანულ მოძღვრებას წმიდა სამების შესახებ, მან ვერ შეიგნო იგი: მას ქრისტიანობა მოეჩვენა სამღმერთობათ. წინააღმდეგ ამ მოძღვრებისა იგი ცთილობდა, რამდენათაც შესაძლო იყო, ნათლათ დაენახვებია თავის მიმდევართათვის, რომ არის მხოლოდ **ერთი** ღმერთი: „თქვი: უფალი ერთია, ღმერთი დაუსრულებელი, ვინც არ ბადებს და არც დაბადებულა, და არაა მისი სწორი“ (სურა 112). ასეთმა განმარტებამ, სულ უარყოფითი ნიშნებისაგან რომ იყო შედგენილი დ ყოველს მტკიცებითი შინაარსს მოკლებული—შემდეგში გამწვავებული დავა გამოიწვია ღვთის თვისების დახასიათების დროს. ზოგს, მაჰმადს შემდეგ, ღმერთი ძალიან სადათ წარმოედგინა, თითქმის კაცის სახით. სხვები, უმთავრესათ სწავლული ღვთისმეტყველები, პირიქით იქამდი მიდიოდენ, რომ ღვთაებაში ყოველს დადებით თვისებას უარყოფდენ; ამტკიცებდენ, რომ ღვთის ბუნება სრულიად გამოუცნობელია ადამიანის გონებისათვისო. მაგრამ როგორც ბედისწერის საკითხშიაც, თანდათანობითი განვითარება უფრო უბრალოსა და სადა შეხედულობის მხრით მიიმართა, და ყურანის განმატებანი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს; ალეგორიულ ახსნას კი, რაც ძალიან უყვარდათ მუსულმან სქოლასტებს, გვერდი აუხვიეს.

ახალი რელიგიის გასავრცელებლათ ღვთის არსების ასეთი განმარტება ძალიან სასარგებლო გამოდგა. ისლამის ღმერთი ისეთი მარტივი და გასაგებია, თუნდა სრულებით განუვითა-

რებელი გონებისთვისაც, რომ ბარბაროსულ ხალხებში აქამდი იშვიათად ჰქონია რომელსამე რელიგიას ისეთი გამარჯვება, როგორც მაჰმადიანობას; ისლამი ვცელდებოდა და ვრცელდება არა მარტო ცეცხლითა და მახვილით, როგორც ჩვეულებრივათ ფიქრობენ, არამედ რწმუნებისა და ქადაგების მეოხებითაც.

წინასწარმეტყველები.

ისლამის მეორე დოგმატი: „მაჰმადი ღვთის მოციქულია“-ო, არ საჭიროებს ბევრ ახსნას. ძველი აღთქმიდან მაჰმადმა გაიგო შესახებ პირველყოფილ ცოდვითდაცემისა და ამაზე ააგო მთელი თვისი მოძღვრება წინასწარმეტყველობაზე. რომ წინდაწინვე გაეფრთხილებია ხალხი ცოდვილი ცხოვრებისგან გამომდინარე შედეგების წინაშე, უფალი გზავნიდა ქვეყნად წინასწარმეტყველებს. ისინი გაბრიელ მთავარანგელოზისაგან გაიგებდენ ხოლმე ნებას ღვთისას და იღებდენ საღვთო განცხადებათ. ბრძოლა კერპთმსახურებთან, ქადაგება წმიდა ერთღმერთობისკენ დაბრუნების შესახებ—აი რა შეადგენდა მათ მთავარ საგანს. მათ მიერ მიღებული განცხადებანი მოგროვილია საღვთო წერილში, როგორიცაა ებრაელთა და ქრისტიანთათვის მოსეს ხუთწიგნი და სახარება. უკანასკნელი წინასწარმეტყველის მოწინავე იესო იყო: როგორც მისმა წინამორბედმა პირებმა, ისე იესომაც, ვითომც, იწინასწარმეტყველა მოვლინება მაჰმადისა, რომელს შემდეგაც აღარ უნდა ყოფილიყო სხვა წინასწარმეტყველი. მაჰმადი, პირველად ყოვლისა, წარმოგზავნილია არაბებთან, ხოლო იმ მოსაზრებით, რომ მათი შემწეობით გაავრცელოს ჭეშმარიტი მოძღვრება მთელ ქვეყანაზე. ამ ჭეშმარიტ მოძღვრებას იგი ხშირათ უწუნებდა აბრამის რელიგიას, რომელიც თითქო ებრაელებსა და ქრისტიანებს დაემახინჯებიოსთ. მაჰმადი თავის თავს

თვლიდა ისეთსავე კაცათ, როგორიც იყო ყველა სხვა; ყურანში ეგ რამოდენიმეჯერ ხაზგასმითაა განმეორებული; წინასარმეტყველი არასოდეს არ იჩემებდა უცოდველობას და ზესთაბუნებრივ ნიჭიერობას, არ თვლიდა თავის თავს, მაგალ., სასწაულმოქმედათ. სრულიად ბუნებრივია, რომ ისლამის თანდათანობითი ზრდა-განვითარების მიხედვით მისი წარმომშობის პიროვნებაც უფრო და უფრო მაღლდებოდა ხალხის თვალში. მხოლოდ 150 წელს შემდეგ დღიდან მაჰმადის სიკვდილისა გადმოცემა იწყებს მოთხრობას მის ვითომდა ურიცხვ სასწაულებზე. თვითონ მაჰმადი კი თავის თავს თვლიდა მხოლოდ იარაღათ, რომლის საშვალებითაც ღმერთმა თავისი განცხადება, უკანასკნელი და საბოლოოთ შემუშავებული, ყურანში მოგვცა. ყურანმა უნდა აღადგინოს ნამდვილი აზრი ყველა წინანდელი განცხადებისა და შეავსოს იგი დროის მოთხოვნილების შესაფერათ. მასშია გამოთქმული ღვთის უკანასკნელი სურვილი; ამიტომ ყურანის ბრძანების წესიერი ასრულება—უპირველესი მოვალეობაა ყოველი მართლმორწმუნისა. მაგრამ ყურანი შეიცავს არა მარტო რელიგიური ხასიათის მოთხოვნილებათ, არამედ საერობო, მოქალაქობრივ კანონებსაც; ყველა ეს, მაჰმადის სწავლებით, მაღლით განცხადებულია, და როგორც ასეთი, იგი უთუო, მუდმივი და უცვლელი მოვალეობაა ყველასათვის. ამ სახით საფუძველი მუსულმანთა მთელი კანონმდებლობისა ყურანშია ჩასახული.

ყურანი და სუნა.

ამიტომ ცოდნა და გაგება ყურანისა უპირველესი მოვალეობაა ყველასათვის. თვითონ ტექსტი ამ წიგნისა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: თითქმის თანამედროვე სამეცნიერო კრიტიკასაც არ შეაქვს ეჭვი მისი ტექსტის სინამდვილეში. ხოლო რაც შეეხება მის ახსნა-გან-

მარტებას, იგი გაცილებით უფრო ძნელი საქმეა. ბევრი ადგილი ბუნდოვანი და ორაზროვანია; უფრო მეტია ისეთი ადგილები, რომელთა მნიშვნელობაც ჩვენთვის გასაგები შეიქნება მხოლოდ მაშინ, თუ გავიგებთ — რა გარემეობაში მიიღო მაჰმადმა ესა თუ ის „განცხადება". ამიტომ მუსულმანი ღვთისმეტყველები ცთილობდენ შეეგროვებიათ, რამოდენათაც ეს შესაძლებელი იყო, უფრო მეტი ცნობები იმის შესახებ, რასაც ლაპარაკობდა და აკეთებდა წინასწარმეტყველი. ამისათვის უმთავრესი წყარო გადმოცემა იყო, რომელიც დამსწრეთა და მოწმეთა საშვალებით მომდინარეობდა და შემდეგ პირველი ასი წლის განმავლობაში კი ზეპირგადმოცემით ვრცელდებოდა. ეს გადმოცემა საშვალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ ესმოდა ყურანის ესა თუ ის ადგილი თვით წინასწარმეტყველს, რომელი შემთხვევები და პირები აქვს სახეში ცალკე ფრაზებს, როდისაა მოცემული ესა თუ ის „განცხადება." ამ გადმოცემაში ჩვენ შევხვდებით მაჰმადის ბევრს ისეთ განკარგულებას, რომელიც მას მოუცია არა როგორც ღვთის მოციქულს, არამედ როგორც თავის მიმდევართა მრევლის ხელმძღვანელს. თუმცა აქ პირდაპირ „განცხადებას" ადგილი არ ჰქონია, მაგრამ წინასწარმეტყველის ავტორიტეტი მაინც მეტ წონას აძლევდა მის ჩვენებას. ამნაირათ **სუნა**, „გადმოცემა," უმთავრესი საშვალებაა, რომლის შემწეობითაც შესაძლოა ადამიანმა შეუფარდოს „სიტყვა უფლისა" ყოველდღიური ცხოვრების მოვლენებს. იგი, ყურანს შემდეგ, უმთავრესი წყაროა, რომლიდანაც მუსულმანი ღვთისმეტყველები და იურისტები მასალას იღებდენ თავისი სისტემისათვის: როგორც პირველთა, ისე მეორეთა მოღვაწეობას მაჰმადის მოძღვრების ასეთმა ხასიათმა თავისებური ელფერი მისცა. მაგრამ ვინაიდან ხანგრძლივი ზეპირგადმოცემის მეოხებით იგი გადმოცემა ბუნდოვანი შეიქმნა და დამახინჯდა, ამი-

ტომ მისი გაწმენდა ე. ი. გადმოცემის კრიტიკა, მუსულმანური ღვთისმეტყველების ერთს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ „კრიტიკის“ წესები, რასაკვირველია, ჩვენი ისტორიული კრიტიკის წესებს არ წაგავს; მუსულმან სწავლულთ სრულიად არ ავიწროებს თუნდა ფრიად დაუჯერებელი ამბებიც, სასწაულები, ფაკტების ტენდეციური დამახინჯება და სხვა ამისთანა, ოღონდ ამ ამბების ძველობა საეჭვო არ იყოს. მაგრამ მასალის მოკრების მხრით მაჰმადიან სწავლულთა შრომას მაინც მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მეცნიერებისთვისაც.

ქვეყნის საბოლოო ბედი.

მუსულმანურ დოგმატიკას უმთავრესათ აინტერესებდა **საბოლოო საკითხები**. ისლამის მესამე დოგმატში მარტივათაა ნათქვამი: „ადამიანი ეკუთვნის ღმერთს და მასთანვე უნდა დაბრუნდეს იგი.“ მაგრამ ყურანი არ კმაყოფილდება ამ უბრალო დებულებით; ჩვენ მასში ამ საგნის ბევრნაირ განმატებას ვპოვებთ. საიქაო ცხოვრების დასახასიათებლათ მაჰმადი ისეთ გამოთქმებს ხმარობს, რომელთა თვალსაჩინობაც უკიდურესობამდი მიდის. ადამიანს, ყურანის მოძღვრებით, არ ძალუძს სიცოცხლეში იხილოს „ის ქვეყანა,“ სადაც დგას ღვთის ტახტი და იმყოფებიან ანგელოზები. მაგრამ ვაი მას, ვინც ამისგამო მის არსებობას უარყოფს: საშინელი სინამდვილე წარსდგება მის წინ იმ წუთში, როცა საყვირი „უკანასკნელი განკითხვისა“ გააღვიძებს საფლავებში მძინარეთა, და უთვალავი რიცხვი ცოდვილთა გამოცხადდება უზენაესის ტახტის წინაშე. მაშინ გამოჩნდება სასწორი, რომელზედაც იწონება თითოეულის საქმე, და ღვთის ორი ანგელოზი მოიტანს წიგნს, რომელშიც ნაანგარიშებია ადამიანის ავ-კარგი. ჯოჯოხეთურ უფსკრულზე გადებულია ვიწრო, ძაფზე უწვრილესი, ხანჯლის პირზე უფრო გაალმასებული ხიდი. იგი სამოთხის-

კენ მიიმართება, და ამ ხიდზე უნდა გავიდენ სულები, უზენაესის განჩინების მოლოდინში; ვინც დახსნილია, თვალის დახამხამების უმალ გადავა მეორე მხარეზე, ხოლო დასჯილი ვარდება უფსკრულში და იქ რჩება საუკუნოთ. სამოთხის სიტკბოება აწერილია ძალიან ვრცლათ. იქ ნებადართულია ღვინის სმა, რაც ამ ქვეყნათ აკრძალულია; ხეების ჩრდილში მოჩუხჩუხე წყაროებთან წვანან მართლმორწმუნენი; მათ მსახურებენ ლამაზი ჭაბუკნი; მათვე იქ მოელიან საუცხოო ტანადი „გურიები“ („დიდთვალებიანი ქალწულები“), მათი საამოთხის ცოლები. უფრო ნაკლებ ვნებიანთ მაჰმადი, ამას გარდა, ღვთის ხილვასაც პირდება.

დასჯილებს ჯოჯოხეთში, რასაკვირველია, ცუდი დღე უდგებათ: მათ ხან სიცივე სტანჯავს, ხან საშინელი სიცხე; ისინი იძულებული არიან ისაზრდოონ საზიზღარი ან შხამიანი საჭმელებით; ჯოჯოხეთის დარაჯნი არავის არ უშვებენ ამ საშინელ სამყოფელოდან. ასეთი წარმოდგენა მომავალ ცხოვრებაზე თვითონ წინასწარმეტყველმა მოგვცა; შემდეგში იგი ნვითარდებოდა და ლამაზდებოდა წვრილმანის და უმნიშვნელო ცნობების დამატებით. არსებობს წიგნების მთელი რიგი, რომელშიც მხოლოდ საშინელი განკითხვის დღეა აწერილი.

ის, რაც მოეთხოვება ადამიანს, რათა მან სამოთხე დაიმსახუროს, განმარტებულია მხოლოდ უარყოფითი მხრით: ვერც ერთი ურწმუნო ვერასოდეს ვერ იხილავს სამოთხეს და ვერც გადაურჩება ჯოჯოხეთურ ცეცხლს. მაგრამ ვერც ყოველი მორწმუნე იქმნება ნატართა თანა: მხოლოდ მოწამენი ისლამისა, დაღუპულნი საღვთო ომებში, და შემდეგ უბიწოთ დახოცილნი, თუ ისინი მტკიცე რწმენით მოკვდენ, პირდაპირ სამოთხეში შევლენ. სხვებმა უნდა წარმოადგინონ ვანსაზღვრული რიცხვი კეთილ საქმეთა, უმთავრესათ კი თვითონ წინასწარმეტყველის შვამდგომლობა, რათა კეთილის ჯამმა

სძლიოს მათ მიერ ჩადენილი ცოდვების სიმძიმეს. ღვთისმეტყველები ცთილობენ ამის ახსნას ბევრნაირი მაგალითით, ხოლო საბოლოო უტყუარი დასკვნა ასეთია: ყველაფერი დამოკიდებულია ღვთის კეთილ ბუნებაზე; უფალი მხოლოდ მას იხსნის, ვისი ხსნაც მას სურს.

ისლამის მცნებანი.

მაჰმადიანის რელიგიური მოვალეობანი არ არიან პირდაპირ დაკავშირებული ისლამის დოგმატებზე და, როგორც უუგვიანესი დროის ებრაელთა მოვალეობათ, ისე მათაც წმინდა გარეგნული, ცერემონიული ხასიათი აქვთ: „რაც ნაბრძანებია, უნდა ასრულდესო“—ასეთია ისლამის კანონი; მსჯელობა აკრძალულია, როგორც სამხედრო სამსახურში, სულ ერთია, აქვს თუ არა ბრძანებას რამე ზნეობრივი მნიშვნელობა. ადამიანს უნდა მოექცე სამართლიანათ, და საჭიროა ლოცვის წინ განბანა; ერთიც და მეორეც წერილ არის ყურანში; მათი აუსრულებლობისათვის ადამიანს ანგარიშების გასწორება მოელის საშინელი განკითხვის დღეს. ეს, რასაკვირელია, მუსულმანის წარმოდგენას ღვთაებაზე, როგორც უხიაკ დესპოტზე, მშვენივრად შეეფერება; მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა, რომ მუსულმანის კეთილზნეობა, ამ სიტყვის ჩვენებური მნიშვნელობით, სრულიადაც არ გამომდინარეობს მისი რელიგიოზობიდან. უსაზღვრო „ერთგულება ღვთისამდი“ („ისლამი“) კეთილ საქმეებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. და თუ მაჰმადიანთა შორის კეთილბუნებოვან ადამიანთა რიცხვი არა ნაკლებია, ვიდრე სხვაგან, უეჭველია ეს მათი რელიგიის გავლენით არ აიხსნება. დამტკიცებულია ისიც, რომ ისლამის თვით დაურღვეველი მცნებანიც,—ხუთი „ბურჯი“ სარწმუნოებისა—ეხებიან განსაკუთრებით ცერემონიებსა და გადასახადის მოკრების წესებს. მართლმორწმუნის პირველი მოვალეობაა

განწმენდა. იგი უნდა განიბანოს ლოცვის წინ, თუ მას რამე უწმინდურების, მაგალ. ღვინის, ლეშის, ურწმუნოსი ან სხვათა შეხება მოხთომია. როგორც ყოველგვარ მუსულმანურ ცერემონიას, ისე ამ განბანასაც ექმნება რაიმე სიმბოლიური მნიშვნელობა, როგორც ეს სხვა რელიგიაშიც არის ხოლმე; მისი მიზანია —მისცეს ადამიანს ისეთი სახე, როგორი სახითაც ღმერთს სურს მისი ხილვა. არსებობს განბანა ორგვარი: ჩვეულებრივი, პატარა, როცა იბანება პირისახე, ხელები იდაყვებამდი და ფეხები კოჭებამდი. იგი ხთება „მცირე გაუწმინდურებას“ შემდეგ, ყოველი ლოცვის დასაწყისში და დილას, ადგომის დროს. განსაკუთრებულ შემთხვევებში სავალდებულოა მთელი ტანის განბანა (ე. წ. დიდი გაწმენდა): ქალებისთვის, მაგალ. მშობიარებას შემდეგ. თუ წყალი არ იშოვება, „გაწმენდის“ შესრულება სილის საშვალებითაც შეიძლება.

ლოცვა,

მეორე, ყველაზე მეტათ საგულისხმო მოვალეობა, რომელიც უწინარეს ყოვლისაა ნაბრძანები წინასწარმეტყველის მიერ, არის **ლოცვა**. ყველა ნათქვამს შემდეგ არაა გასაკვირველი, თუ მუსულმანური ლოცვა თავისი შინაარსით ცოტათი წააგავს ქრისტიანულს. იგი თუმცა კი აღსავსეა სასოებით, მაგრამ მაინც არ არის დანდობილი, იმედით აღსავსე მიმართვა მლოცველისა ზეციერი მამისადმი, არამედ მოკრძალებული გაცვიფრებაა, პატივისცემითი თრთოლვა ქვეშემრდომისა ცისა და ქვეყნის მკაცრი ხელმწიფის წინაშე. და ვინაიდგან არ შეიძლებანება დართო ადამიანს—მიმართოს მან ზენაარსს გარემოებისთვის შეუფერებელი სიტყვებით ან ტანის მიმოხვრით, ამიტომ ლოცვა შესდგება სამუდამოთ განსაზღვრული მცნებათა მთელი რიგით, რომელთა შორის ჩაირთვის ხოლმე ყურანიდან ამოღებული ლექსები და გამოითქმიან ტანის განსაზღვრულ მდგო-

მარეობაში. ყველა ფრაზა და ტანის მიმოხვრა შეადგენს ერთ მობრუნებას ანუ საქცევს (რეკა); ყოველი ლოცვა შესდგება რამოდენიმე ასეთი მობრუნებისგან. აი მაგალ. ერთი მათგანი: მლოცველი სახეს მიიღებს უწინარეს ყოვლისა მექისკენ (ახლა, უფრო მეტი სისწორისთვის, ზოგიერთი კომპასით სარგებლობს). სიტყვებს: — „დიდ არის უფალი!“ პირდაპირ მოყვება ყურანის პირველი **სურა**: „სახელითა უფლისათა, მოძღვარისათა! დიდება ღმერთსა, ქვეყნების მეუფეს, კეთილმოწყალეს, განკითხვის დღის ბატონს! შენ გმსახურებთ, შენ გევედრებით დახმარებას. გვატარე ჩვენ სიმართლის გზით, მათი გზით, ვისაც შენ ღირსყოფ შენს მოწყალებას, ვისზედაც შენ არ წყრები. ვინც არ აცდება სწორ გზას: ამინ.“ შემდეგ 112 სურა: „დიდ არს უფალი! უაღრესობა უფლისა დიდისა ჩემისა; და იყოს ნება უფლისა მოსმენა მისი, ვინც ადიდებს მას. დიდ ხარ შენ, უფალო ჩვენო!“ (მუხლების მოყრით). „დიდ არს უფალი! დიდ არს!“

ჩვეულებრივ დღეებში ლოცვა სრულდება: 1) ალიონსა და მზის ამოსვლას შუა (4 მობრუნება); 2) შუა დღეზე (8 მობრუნება); 3) ნასადილევს, მზის ჩასვლამდი(5 რეკა); 4) დალამებისას (6 რეკა). განსაკუთრებული ღვთის მმოსავნი ლოცულობენ შუალამეზეც. ორი ლოცვის შეერთება აკრძალულია. ლოცვის ჟამს იტყობინება მუეძინი (ოსმალურათ მუეძინი, ქადაგი) მინარეტის მწვერვალიდან. თავისთავათ იგულისხმება, რომ მას კარგი ხმა უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ამ თანამდებობაზე ყოველთვის ბრმებს ირჩევენ იმ მოსაზრებით, რომ მუეძინმა კოშკის მწვერვალიდან ჰარამხანის შიგა მოწყობილობა ვერ დაინახოს.

პარასკევს, შუადღის ლოცვას საზოგადო ღვთისმსახურების ხასიათი აქვს; მთელი მრევლი მეჩითში იკრიბება; მუეძინის მოწოდებას შემდეგ ყველა წარმოსთქვამს ლოცვას ორ „მობრუნებათ“, შემდეგ მეჩითის ორი მსახური ასრულებს რაღაცას,

ლიტურგიასებურს; „იმამი“—მთავარი მკითხველი—**ადის** კათედრაზე და წარმთსთქვამს **ხოტბეს**,—დარიგებათა მთელ რიგს, ყურანიდან ამოღებული ლექსებით მოართულს, რაღაცას მოკლე ქადაგების მსგავსს. ამას მოყვება წყნარი საერთო ლოცვა და ხელახლა ხოტბე. ამჯერათ იგი იწყება „სარწმუნოების აღსარებით, ხოლო შემდეგ მოყვებიან ლოცვებს: მაჰმადისა და მისი სახლეულობისათვის, ისლამის პირველ აღმსარებელთათვის, ყველა მლოცველთათვის საზოგადოთ, მუსულმანური იარაღის გამარჯვებისთვის და, განსაკუთრებით კი, მმართველი ხელმწიფისათვის, რომელიც მაჰმადიანთა ქვეყნებში, დასაწყისში მაინც, ითვლებოდა ერთსა და იმავე დროს საერო და სასულიერო მთავრათ. იმისთვის ლოცვას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამით მართლმორწმუნენი თავის თავს მის ქვეშემრდომათ აღიარებდენ. მეორე ხოტბეს შემდეგ იმამი დგება მეხრაბის წინ (მეჩითის კედელში დატნეული სიღრმავეა მექის მხრით) და ასრულებს ლოცვას ორ „მობრუნებათ“; მასთან ერთად ყველა იქ მყოფი უცვლელათ იმეორებს მის მოძრაობას, შემდეგ იშლებიან ისინი მეჩითიდან და თავთავის საქმეს ეკიდებიან: პარასკევი უქმე დღეთ არ ითვლება.

რთული, დღის განმავლობაში რამდენჯერმე გასამეორებელი ცერემონიები სწორეთ აწუხებს მართლმორწმუნეთ, მაგრამ მაინც ამ წესებს ყველა წარმოუდგენელი გულმოდგინებით ასრულებს. ამ ცერემონიებმა, თავისი მხრით, თვალსაჩინო **სარგებლობა** მოიტანა მით, რომ ისლამის არსებობის **პირველ** ხანშივე აჩვევდა არაბებს წესრიგსა და დისციპლინას; მშვიდი, **ზომიერი** მოძრაობით მაჰმადიანი ახლაც ირჩევა ხალხში. მაგრამ, ზოგი მისტიკური სექტისა და პიროვნების გამონაკლისით ჩვენ ვერ ვპოულობთ მასში რელიგიურს უმაღლეს განცთას. ლოცვა მისთვის -მოვალეობაა, ღვთის მიერ ჩვენდამი დაკისრებული, მოვალეობა ძალიან ძნელი და არასიამოვნო, მაგრამ

მისი ასრულება აუცილებელია, თუ გინდა—არ გაიფუჭო ანგარიში ცოდვისა და კეთილის საანგარიშო წიგნში, რომელზედაც ცაში ანგელოზები მუშაობენ. ლოცვა, ამ სიტყვის ჩვენებური მნიშვნელობით, მუსულმანისთვის ზედმეტია: ხომ კი ადრევეა განსაზღვრული მისი ბედი. თუ იგი მიმართავს ღმერთს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოხატოს მისდამი უსაზღვრო ერთგულება.

მარხვა.

მესამე ადგილი „უმთავრეს მოვალეობათა“ შორის უკავია **მარხვას** რამადანის (ანუ, ოსმალური გამოთქმით, რამაზანის) თვის განმავლობაში. იგი წარმოადგენს საჭმელ-სასმელსა და საზოგადოთ ყოველგვარი სიამოვნების (სურნელოვანი წვეთების, თუთუნის, თითქმის ბანაობისასაც) დათმობას მთელი დღის განმავლობაში, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდი. მაჰმადმა ეს მარხვა დეკემბერში შემოიღო. მაგრამ რადგან მაჰმადიანთა მთვარის წელიწადი ვერ უთანასწორდება მზის წელიწადს, ამიტომ რამადანი თვიდან თვეზე გადადის და 33 წლის განმავლობაში წელიწადის ყველა დროს უვლის. როცა მარხვა ზაფხულშია, იგი მუსულმანისთვის მძიმე დანაკლისს წარმოადგენს. თუმცა უფრო თავისუფლათ მოაზროვნე პირები ჩუმათ სტეხენ მას, მაგრამ ჭეშმარიტი მორწმუნენი—ესენი კი აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდ უმრავლესობას შეადგენენ—მკაცრათ ასრულებენ ბრძანებას. ადვილათ შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ როგორი გასაძლებია ზაფხულის დღეს ეგვიპტის ან ინდოეთის მწვავ მზეში ისე, რომ პირში წვეთი წყალიც არ ჩაუშვა. სამაგიეროთ ღამეობით, ცხადია, ეცდება მაჰმადიანი დააჯილდოვოს თავისი თავი მთელი დღის განმავლობაში თმენისთვის; მაგრამ დაუსრულებელი თვის ბოლოს მაინც ყველა მოუთმენლათ ელის. რამადანის ოცდამეშვიდე დღის წინაღამე ითვ-

ლება განსაკუთრებით წმიდათ: იგია leitet-el-kadr ე. ი. „ღამე ზიზღისა“,—ღამე, როცა მაჰმადი გახთა წინასწარმეტყველი იმ განცხადების საშვალებით, რომელიც ინახება ყურანის ოთხმოცდამეთექვსმეტე სურაში. რამადანის გათავებით გამოწვეული სიხარული გამოიხატება დღესასწაულში „**მარხვის ტეხაში**“(ოსმალურათ მცირეანუ შაქრის „ბეირამი“, განსხვავებული დიდი ბეირამისგან). იგი ხთება შემდეგი თვის, შავალას, პირველს სამ დღეში, და მაშინ ყოველგვარი გასართობით ატარებენ დროს. მარხულობისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ავადმყოფნი, მოგზაურნი და ჯარისკაცები ომის ველზე; მაგრამ ისინი მოვალენი არიან შემდეგში შეავსონ მარხულობის დანაკლისი. რამადანს გარდა წლის განმავლობაში კიდევ რამოდენიმე მარხვაა, ხოლო არა ყველასთვის სავალდებულო.

წმიდა ადგილებში მოგზაურობა.

კიდევ უფრო მძიმეა მართლმორწმუნის მეოთხე მოვალეობა — მოგზაურობა წმიდა ადგილებში. როცა მაჰმადმა. არაბთა უძველესი ნაციონალური საკურთხეველის მონახულება მოვალეობათ აღიარა, მან, რასაკვირველია, წინათვე ვერ მოისაზრა, რომ შემდეგში ამ ბრძანების ასრულება ათასეულ მუსულმანს აიძულებდა ასეული მილის სიშორიდან მექისკენ გამგზავრებულიყო. არაფერი არ გვიჩვენებს ისე ნათლათ, თუ რამოდენათ სერიოზულათ ეპყრობა მაჰმადიანი თავის მოვალეობას, როგორც ეს მექას მოგზაურობა რამოდენიმე მილიონი ხალხისა, რომელიც გაბნეულია საშვალო აზიის ველებში, ზონდის კუნძულებზე, ალჟირსა და მაროკოში. მგზავრობაში ღარიბთ ხშირათ უხთებათ მოწყალებით კვება, თავის გაქირავება ტვირთვის მზიდველის თანამდებობაზე, მაგრამ მაინც წინ მიდიან; წვალებით გამოაქვსთ თავი მექაში დღესასწაულის დამთავრებამდი და შემდეგ იმავე ხერხით

უკანვე ბრუნდებიან. კანონის ზოგიერთი ამხსნელი, მართალია, მოადგილის გაგზავნის ნებართვას იძლევა; ამას გარდა, არის შემთხვევათა მთელი რიგი—სიღატაკე, ავათმყოფობა, უთავისუფლობა და სხვა, რომელიც მართლმორწმუნეს მოგზაურობისაგან ანთავისუფლებს. უახლოეს დროში, როცა სუსტდება რწმენა ისლამშიც კი, მაჰმადიანთა დიდი უმრავლესობა ცდილობს მოიმიზეზოს ისეთი რამ, რაც გაათავისუფლებს მას ამ მძიმე მოვალეობისაგან. მიუხედავათ ამისა ყოველ წელიწადს ათიათასობით გროვდება ხალხი მექაში.

გადააბიჯებს თუ არა წმიდა ადგილების მლოცველი ქალაქის საზღვარს, უწინარეს ყოვლისა იგი **იხრამით**, მგზავრის ტანისამოსით შეიმოსება. იხრამი წარმოადგენს რომელიმე მატერიის ორ ნაჭერს, რომელთაგან ერთი თეძოებზე შემოიხვევა და მეორე მხარზე გადაიგდება; ფეხზე სანდლების ჩაცმა შეიძლება, მაგრამ თავი უთუოდ შიშველი უნდა იყოს, თუნდა დღესასწაული მეტად ცხელ თვეშიც მოხდეს. მექას მისვლასთანავე მოგზაურნი ქააბისკენ მიეშურებიან. მაჰმადის დროიდან ეს საკურთხეველი არა ერთხელ დანგრეულა და ხელახლა აშენებულა, ხოლო თვისი ზოგადი პირველი სახე მაინც შეუნარჩუნებია. იგი წარმოადგენს არა მთლათ სწორ კუბიკს, რომელსაც სიგრძით, დაახლოებით, 40 ფუტი აქვს, სიგანით —30 და სიმაღლით 35—40. ნამდვილი ზომა არ ვიცით, ვინაიდან „ურწმუნოებს“ საღვთო ნიადაგზე გავლა სიკვდილის მუქარით აქვსთ აკრძალული; ამიტომ ზოგიერთი ქააბის მნახველი მოგზაური (მე—XIX—ე საუკ. სულ სამი იყო), შეიპარა შიგ ჩუმათ, რადგან თავი მუსულმან პილიგრიმათ გამოაცხადა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მათთვის შეუძლებელი იქნებოდა გაზომვა, ჩაწერა და სხვა, და ესენი იძულებული იყვნენ, დაკმაყოფილებულიყვნენ ზოგადი შთაბეჭდილებით. უწინარეს ყოვლისა ქააბა ოთხივე მხრით დაფარუ-

ლია შავი აბრეშუმით, რომელიც საჭიროების დროს ფარდასავით აიხთება; ამ მატერიის გამოგზავნა—განსაკუთრებული პრივილეგიაა ოსმალეთის სულთანისა, როგორც წანასწარმეტყველის მოადგილისა. ქააბა დგას გაშლილ მოედანზე, რომელსაც სიგრძით 200 და სიგანით 150 ნაბიჯი აქვს; მოედანი გარშემორტყმულია ფართო კოლონადით (სვეტების 6 რიგია), რომელიც საუცხოო სანახაობას წარმოადგენს ღამე, როცა მას ათასეული სანათური აშუქებს. თვითონ ქააბაში მაჰმადის დრომდი ჩამწკრივებული იყვნენ კერპნი; ახლა იგი ცარიელი უნდა იყოს. მისი ოთხი კუთხე დაახლოვებით გვიჩვენებს ქვეყნის ოთხ მხარეს; აღმოსავლეთის მხრით, მიწიდან 4—5 ფუტის სიმაღლეზე კედელში დატნეულია სახელგანთქმული „შავი ქვა,“ კვერცხივით რგვალი, სიგანით 7 დუიმი; უსწორ-მასწორო ზედაპირით. მეტეორია იგი, ლავის ნატეხი თუ სხვა რამე—აქამდი გამოურკვეველია, უმთავრესათ იმიტომ, რომ მისი ზედაპირი ურიცხვ თაყვანისმცემელთა ტუჩებითაა გადალესილი, სწორეთ ისე, ვით წმ. პეტრეს ქანდაკების დიდი თითი რომში. ძველ მექაში იგი ითვლებოდა რელიგიური თაყვანისცემის საგნათ: საღვთო ქვებს, საზოგადოთ, ხშირათ შეხვდებით სემიტებში. მაჰმადმა დასტოვა იგი ქააბაში და თავიც არ შეუწუხებია—აეხსნა, სახელდობრ რით დაიმსახურა ამ ქვამ მართლმორწმუნეთა თაყვანისცემა, და აი. პილიგრიმები დღესაც დიდი სასოებით ეხებიან მას ტუჩებით, თუმცა მისი მნიშვნელობა არც ერთ მათგანს არ ესმის. ფიქრობენ, თითქო ქააბა ადამის დროს იყოს დაარსებული; წარღვნის მერე იგი ხელახლა აშენდა აბრაამის (იბრაგიმის) მიერ, მაგრამ შემდეგში წარმართნი ბილწავდენ მას კერპმსახურებით, სანამ არ გამოიგზავნა მაჰმადი ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსადგენათ. ქააბასთან არის ჭა Semsem-ი, ვითომ აშენებული იმ წყაროს ადგილზე, რომელმაც აგარი და ისმაილი უდაბნოში სიკვდი-

ლისგან იხსნა. ურწმუნოთათვის ამ ჭის წყალი უგემურია და არა სასიამოვნო სასმელი, ხოლო მორწმუნენი დარწმუნებული არიან, თითქოს იგი ყოველგვარ ავათმყოფობას უხდება, და პილიგრიმები სმენ მას გატაცებით, რაკი მოიხთიან თავის მოვალეობას—ქააბას შემოუვლიან შვიდჯერ და „შავ ქვასაც“ ამოდენიმეჯერვე ემთხვევიან.

უდიდესი დღესასწაული აქვე კი არა, მინის ვაკეზე, ქალაქის მიდამოებში ხთება, დულჰიჯის თვის 10 რიცხვში. წინა ღამეს, 9-ს, მლოცველნი მიდიან არაფატის მთაზე, რომელიც მდებარეობს დასავლეთით 3 მილის მანძილზე, სადაც, გადმოცემით, მთავარანგელოზი გაბრიელი ასწავლიდა ადამს, როგორ უნდა ედიდებია მას შემოქმედი. მეორე დილას მგზავრები მიეშურებიან მინის ვაკისკენ. პილიგრიმები გროვდებიან ამ ვიწრო ჩანგრეული ადგილის აღმოსავლეთ კუთხეში, რომლის დასავლეთის გამოსავალიც მექისკენაა მიმართული, და ასრულებენ ასეთ ცერემონიას: ტრაპეზზე ან სვეტზე, იქვე რომ დგას, თითოეული მათგანი ისვრის შვიდს პატარა კენჭს; იგივე მეორდება ვაკის შვა გულში და დასავლეთის კუთხეშიც. როგორც ღვთისმეტყველნი ხსნიან, ამაში გამოიხატება აბრაამის მოგონება, რომელმაც გაბრიელ მთავარანგელოზის რჩევით ამგვარი საშვალებით გადენა ეშმაკი, პატრიარქისთვის გზის გადაღობებას რომ ცდილობდა. ამას მოყვება მსხვერპლის შეწირვა, დღესასწაულის დამაბოლოებელი ბრწყინვალე აკტი. ყოველი მართლმორწმუნე ყიდულობს ცხვარს ბედუინებისაგან, რომელნიც აქ თვისი ფარებით განგებ ამ შემთხვევისთვის იკრიბებიან, და მიმართავს თუ არა იგი ქააბას ამ სიტყვებით: „სახელითა უფლისათა, კეთილმოწყალისათა! დიდ არს უფალი!“ ცხოველს კისერს გამოუღადრავს. მსხვერპლის შეწირვით თავდება დღესასწაული (ხაჯ—აქიდან მუსულმანი პილიგრიმის სახელი „ხაჯი“); პილიგრიმები იხთი-

ან ტანისამოსს, მაგრამ კიდევ ორ დღეს იცთიან მინის ვაკეზე და შვადღეობით იმეორებენ ხოლმე კენჭის სროლის ცერემონიას.

ისეთებისთვისაც, ვისაცარ შეუძლია **ხაჯის** თვით მექაში შესრულება, დულჰიჯის თვის სამი დღე (10—12) მაინც არ კარგავს თავის საღვთო მნიშვნელობას: მუსულმანთა ყოველ ქვეყანაში იხთიან „დიად დღესასწაულს“ (ოსმალთათვის კორბან-ბეირამი, „დღესასწაული მსხვერპლისა“): კლავენ სამსხვერპლო ცხოველებს, ასრულებენ განსაკუთრებულ ლოცვებს და სხვათა. მაგრამ რამადანის ბოლო (პატარა ბეირამი), როგორც სახალხო დღესასწაული, გაცილებით უფრო მეტი სიცხოვლით ხასიათდება.

მოწყალება.

სჯულის კანონის უკანასკნელს, მეხუთე მოვალეობათ ითვლება **მოწყალება**, რამაც ნამდვილი სახელმწიფო გადასახადის ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც მაჰმადის მიმდევართა მრევლისგან მთელი იმპერია შესდგა.

წესით ეს გადასახადი აღემატება მთელი უძრავ-მოძრავი ქონების $^1/_{40}$-ს ($2^1/_2{}^0/_0$), რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს საქველმოქმედო საქმეებს და „ღვთის გზის“ საჭიროებას, ე. ი. ისლამის გავრცელებას. ცხადია, რომ დესპოტების თვითნებობასა და ხარჯის მკრეფთა მატყუარობას ფართო ასპარეზი ექმნება განსაკუთრებით ჩვენს დროში. ღარიბთა სასარგებლოთ დაწესებული გადასახადი სახელმწიფო შემოსავლის მცირე ნაწილს შეადგენდა; დავლა და დაპყრობილი ხალხების ხარკი იძლეოდა გაცილებით მეტ თანხას.

ურწმუნოებთან ბრძოლა.

ჩამოთვლილის ხუთი მოვალეობის მოხთით კი არ თავდება „მართლმორწმუნეთა“ ღვთისადმი მოვალეობა, თუმცა იგია

მისი უმთავრესი ნაწილი; არის კიდევ ბევრ გვარი ბრძანება, რომელთა შორის საღვთო ომი, **ჯიხადი**, პირველ პლანზეა მოთავსებული. წარმართთა წინააღმდეგ ომი—უეჭველი მოვალეობაა; ებრაელთა და ქრისტიანთა წინააღმდეგ კი—იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ სამჯერ მოიპატიჟეს ისინი ისლამის მისაღებათ, და მაინც კიდევ ჯიუტობენ, ცთუნებულ გზას არ უხვევენ. ასეთ შემთხვევაში დამარცხებული ტომის მამაკაცები ამოწყეტებიან, ქალები და ბავშვები კი მონებათ იქცევიან. ომში დახოცილი მუსულმანები სარწმუნოების აღმსარებლათ ითვლებიან, და სამოთხის ნეტარება მათთვის უკვე მზათაა. მაინცდამაინც, ებრაელებთან და ქრისტიანებთან ზავის ჩამოგდება და თითქმის ხელშეკრულებაც, როგორც ამას თვითონ წინასწარმეტყველიც ხშირათ შვრებოდა, ნებადართული იყო.

ზნეობრივი მოვალეობანი.

მაჰმადიანი გულმოდგინეთ იცავს დადგენილებას სასმელ-საჭმელის შესახებ. „უწმინდურ“ ცხოველებზე წარმოდგენა, საჭმელში სისხლის ხმარების აკრძალვა, აკრძალვა ლეშისა ან დამხრჩვალის, საზოგადოთ დაუკლავი ცხოველის ხორცისა, ყველა ეს ყურანს ძველი აღთქმიდან აქვს გადმოღებული. უწმინდურ ცხოველთა რიცხვს ეკუთვნიან მტაცებლები, მერე კატები, ძაღლები და ღორები. წინააღმდეგ ზოგი თანამედროვე მაჰმადიანის ახსნა-განმარტებისა, წინასწარმეტყველმა აკრძალა ყოველივე დამათრობელი სასმელი; თუ ყურანში მოხსენებულია მხოლოდ ყურძნის ღვინო, ეს იმიტომ რომ მაჰმადს სხვა რომელიმე სასპირტო სასმელი არ ენახა. მაგრამ ისლამის ისტორიაში, განსაკუთრებით უკანასკნელი ომაიადების ეპოქაში, იყო ისეთი პერიოდებიც, როცა ლოთობა მაჰმადიანი საზოგადოების უმაღლეს წოდებაში ძალიან გავრცელებუ-

ლი ბიწიერება იყო. ჩვენს დროშიც ხშირათ ცოდავენ ამ მხრით, თუმცა აშკარათ ღვინის სმას ძალიან ცოტა თუ ბედავს.

ყურანის სხვა დადგენილებათა შორის დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქორწინებისა და ოჯახის საკითხს. თვითონ წინასწარმეტყველმა აღიარა და თითქო აკურთხა თავისი მაგალითით მრავალცოლობა და ამ მხრით ძალიანაც ავნო მუსულმან ხალხებს. ამან უწინარეს ყოვლისა დიდი ზიანი მოუტანა ქალის მდგომარეობას, რომელსაც ყურანი საზოგადოთ დაბალ საფეხურზე აყენებს, თუმცა კი მორწმუნე მუსულმან ქალებსაც არ მოაკლო საიქაო ნეტარება: მაჰმადის სამოთხე მისაწდომია არა მარტო მამაკაცებისათვის. სამაგიეროთ ამ ქვეყნათ მამაკაცის განუსაზღვრელი უფლება განქორწინების საქმეში ქალებს უიარაღოთ სტოვებს მამაკაცის სურვილების წინაშე. ბავშვების მდგომარეობა სამაგიეროთ ყურანმა ძალიან გააუმჯობესა. ისინი მემკვიდრეობენ მამის ქონებას, თუ კი მამა მათ სთვლის მემკვიდრეებათ და არა მათი დედისას; შვილი მხევლისა ისეთივე მემკვიდრეა თავისი მამისა, როგორც შვილი კანონიერი ცოლისა. შვილები თანასწორათ იყოფენ ქონებას; თვითონ მამის საანდერძო განკარგულებაშია მთელი ქონების მხოლოდ $^1/_3$ ნაწილი; ქალიშვილები იღებენ ძმებზე ორჯერ ნაკლებს.

მონების მდგომარეობაც შეამსუბუქა ყურანმა: ბატონი მოვალეა მონას ადამიანურათ მოეპყროს; ძონის განთავისუფლება კი—საშადლო საქმეა.

II.

ხალიფატის წარმოშვობა და განვითარება *).

632 წელს მაჰმადი მოულოდნელათ გადაიცვალა, და პირველი საკითხი, რომლის გადაჭრაც მჭიდროთ იყო შეკავშირებული მაჰმადიანობის ბედზე, იყო საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაეკავებია მაჰმადის ადგილი. მოციქულის ბუნებრივ მემკვიდრეთ თავის თავს მაჰმადის სიძე, ალი რაცხდა, მეუღლე მოციქულის საყვარელი ქალიშვილისა—ფატიმესი. ხოლო ალიმ თავის მიზანს ვერ მიაღწია. აიიშა, უსაყვარლესი მაჰმადის ცოლებს შორის, ზიზღით უცქერდა ალის, როგორც ქმარს თვისი შეურიგებელი მეტოქის ქალისას. აიიშას სხვებიც მიემხრენ, და ამგვარათ მოციქულის ტახტზე ამაღლება თავისუფალი არჩევნების წესით მოახდინეს. ასე დაუთმო ადგილი პირდაპირი მემკვიდრეობის პრინციპმა არჩევნის წესს.

პირველი მემკვიდრე (ხალიფი) მოციქულისა ამიტომ ალის მაგიერ აბუ-ბეკრი აღმოჩნდა.

როგორი იყო მოღვაწეობა აბუ-ბეკრისა?

მაჰმადის სიკვდილმა და მემკვიდროების საკითხმა თავიდანვე არეულობა გამოიწვია, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ახალ სახელმწიფოს საფრთხეს უმზადებდა. ამ არეულობის მოსპობა, აშკარაა, პირველი მოვალეობა იქმნებოდა ახალი ხალიფისა. ხოლო ამავე დროს არა ნაკლებ ვალდებულათ რაცხდა იგი თავს—სირიის დასაპყრობათ მომზადებულიყო, ვინაიდან თვითონ მოციქულის განზრახვა, რომლის ასრულებაც მას სიკვდილმა არ დააცალა, ასეთი იყო. ამიტომ ხალიფის თანამშრომელნი ორ ნაწილათ გაიყვენ: ერთნი არეულობის მოსპობას ურჩევდენ აბუ-ბეკრს, და მეორენი კიდევ—მო-

*) მთელი ეს თავი შედგენილია რედაქტორის მიერ. დ.უ.

ციქულის განზრახვის სისრულეში მოყვანას. აბუ-ბეკრი ამ უკანასკნელთა რჩევას მიემხრო, ვინაიდან მან შეიგნო, რომ სწორეთ გარეშე ომი შეიძლებდა ყველაზე უკეთ შინაური მღელვარების დამყუდრებას. და მისი იმედი გამართლდა: სირიასთან ბრძოლამ მაჰმადიანნი ერთბაშათ გაიტაცა და შინაგან მღელვარებას საფუძველი გამოაცალა.

აბუ-ბეკრი მალე გადაიცვალა, და მისი ადგილი გმირმა **ომარმა** დაიკავა. თავისთავათ იგულისხმება, რომ ომარის პოლიტიკა უალრესათ სამხედრო პოლიტიკა იქმნებოდა, და მისი ხალიფობის დროს მაჰმადიანთ ბატონობამ მძლავრათ გაშალა ფრთები თითქმის მთელ აღმოსავლეთში; ისლამს დაემორჩილა საბოლოოთ სირია, ეგვიპტე, ახალი სპარსეთიც, და ყველგან მაჰმადიანობამ ღრმა ფესვები გაიდგა; ეტყობოდა, ისლამი აღმოსავლეთის ხალხის გემოვნების საუკეთესო გამომხატველი იყო. ეს განსაკუთრებით აშკარა შეიქმნა მას შემდეგ, რაც ახალი რელიგია ინდოეთსაც მოეფინა, შემდეგ თანამედროვე ბუხარასა და მთელ თურკესტანში შეიჭრა და ბოლოს სომხეთის საზღვრებიც გადალახა. ასე გაბატონდა ისლამი აღმოსავლეთში, და ყველა ეს რაღაც ოცდაოდე წლის განმავლობაში მოხდა მაჰმადის სიკვდილს შემდეგ.

ასეთი ფართო გავრცელება ახალი მოძღვრებისა მისს სისტემატიურ შემუშავებას მოითხოვდა, და მესამე ხალიფის, **ოსმანის** უმთავრესი მოვალეობაც სწორეთ ასეთ შემუშავებაში გამოისახა: ოსმანმა ძალა არ დაიშურა, და ყურანის უკანასკნელი რედაქცია მის დროს ეკუთვნის.

რით აიხსნება ასეთი სწრაფი განვითარება და გავრცელება ისლამისა?

ისტორიკოსები თითქმის ყველა ერთგვარათ ხსნის ამ საკვირველ მოვლენას. აღმოსავლეთის ბედი იმ დროს ორ სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული; პირველი იყო სპარსეთი

და მეორე კიდევ ქრისტიანული ბიძანტია. ხოლო ორივე იმ დროს კრიზისს განიცდიდა. მძლავრი სპარსეთი ბიძანტიას დაეჯახა, და შედეგი ამ დაჯახებისა სპარსეთის დაუძლურება აღმოჩნდა; მაგრამ არც ბიძანტია წარმოადგენდა მაშინ დიდსა და საშიშ ძალას: რელიგიურმა ბრძოლამ მონოფიზიტებსა და მართმადიდებელთ შორის გათიშვა შეიტანა სახელმწიფოში, და როდესაც არაბნი ცეცხლითა და მახვილით მოევლინენ სირიასა და ეგვიპტეს, აქ მცხოვრებმა მონოფიზიტებმა თვის თანამოძმეთა დევნა-კრულვას უცხო არაბთა ბატონობა არჩიეს.

მაგრამ ყველა ეს მიზეზი მხოლოდ არაბთა ძლევა-მოსილობას ხსნის. ხოლო ისლამის დამკვიდრების ახსნა მის შინაგან თვისებებში უნდა ვეძიოთ: იგი მარტივი მსოფლმხედველობაა, რომლის გაგებაც უძრავი აღმოსავლეთის გონებისთვისაც ადვილი შესაძლებელი იყო, და ამავე დროს მისი დებულებანი საღმრთო ბრძოლისა და სამოთხის ცხოვრების სიტკბოებათა შესახებ საუკეთესოთ შეეფერებოდა აღმოსავლეთის ტომთა ველურ ინსტინკტებსა და სურვილებს.

ასეთი იყო ბატონობა პირველი სამი ხალიფისა. ხოლო ალი არ სცხრებოდა. იგი თანდათან აძლიერებდა თვის მიმდევართა ჯგუფს, და ბოლოს **ოსმანის** სიკვდილს შემდეგ მოციქულის ტახტზე **ალი** ავიდა. მისი მტერი, მოციქულის საყვარელი მეულლე აიშა არ სცხრებოდა და **ალის** ოსმანის სიკვდილი დააბრალა. ამ გარემოებამ ბრძოლა გაამწვავა, მით უმეტეს რომ პირად წინააღმდეგობას რელიგიური სხვადასხვაობაც ჩაექსოვა; საქმე იმაშია, რომ აიშას, როგორც მოციქულის საყვარელ ცოლს ბევრი ცნობა ჰქონდა მაჰმადის ცხოვრებიდან, და ყველა ასეთ ცნობას კი ის მნიშვნელობა ახასიათებდა, რომ მისი საშვალებით ყურანის ბევრი გაუგებარი ადგილის გაშუქება შეიძლებოდა. ამიტომ მაჰმადიანებმა ასეთ ცნობათა კრებული ან **სუნნა** შეადგინეს და ყურანის გასაგებათ

მით ხელმძღვანელობდენ. ალი, როგორც მოსისხლე მტერი აიიშასი, ეჭვი არაა, ვერ გაიზიარებდა ვერც იმ ცნობების რწმენას, რომელთა უმთავრესი წყაროც სწორეთ აიიშა იყო. ამიტომ იგი საზოგადოთ მტერი შეიქნა სუნნისა და თავის მომხრეებსაც ამ უკანასკნელისადმი რწმენას უკრძალავდა. მას თვის მომხრეებთან ერთად მხოლოდ ყურანი სწამდა და არაბებში ცნობილი იყო **შიიტის** სახელით. მისი მოწინააღმდეგენი კი აიიშასთან ერთად **სუნნიტებს** უწოდებდენ თავის თავს. ასეთი იყო ის რელიგიური უთანხმოება, რომელიც პირად უთანხმოებასთან ერთად ჩაისახა და განვითარდა.

ალის მხოლოდ ხუთი წელიწადი დაცალდა ტახტზე ჯდომა. სირიის მართველმა **მოავიამ** თავის თავზე აიღო **ოსმანის** სისხლის აღება და 661 წელს ალი მისი მახვილის მსხვერპლი შეიქმნა. მოციქულის ტახტზე თვითონ მოავია ავიდა და დასაბამი მისცა ახალ დინასტიას არაბეთში: ომაიადებს. პირველ ხანებში მთელ ენერგიას შიიტებთან ბრძოლა ითხოვდა, ხოლო როდესაც ალის მიმდევარნი დაწყნარდენ, ომაიადებმა ახალი ქვეყნების დასაპყრობათ მიმართეს თვისი პოლიტიკა. კვიპროსი და როდოსი, მცირე აზია და თვით ბიძანტიაც — ყველა ეს ქვეყანა არაბთა მეომრების სათარეშო სარბიელათ გადაიქცა. ბოლოს აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილიც ჩაუვარდა ხელში არაბთა მეომრებს და იქიდან მათმა მახვილმა ევროპისაკენაც იბრუნა პირი. სარდალმა ტარიკმა გიბრალტარის სრუტე („გიბრ-ალ-ტარიკ“ არაბულათ ნიშნავს ტარიკის გადასვლას) გადაიარა და ესპანიაში **ვესტგოტების** სამეფოს დაეჯახა: 711 წელს **ხერეს-დე-ლა-ფრონტერას** ბრძოლამ თითქმის მთელი ესპანია ჩაუგდო არაბთა ბატონობას ხელში, და ასე დასავლეთი ევროპის ბედმა და ქრისტიანობის მომავალმა თავი დაღუპვის უფსკრულის კიდეზე იგრძნო. მართლაც 732 წელს არაბთა მხედარნი პირინეის მთებს გადალმა მოექცენ და

პუატიესთან ფრანკების სამეფოს ძალებს დაეჯახენ. ევროპის მომავალი საბედისწერო მომენტს განიცდიდა; მუსულმანური გახდებოდა ევროპა, თუ ქრისტიანულ გზაზე განაგრძობდა წინსვლას,—ეს ამ ბრძოლის ბედზე იყო დამოკიდებული. ფრანკებმა სძლიეს არაბთა მეომრებს, და ამას შემდეგ მუსულმანთა მოძრაობა დასავლეთით სამუდამოთ შეჩერდა ქრისტიანობამ მუსულმანური საფრთხე თავიდან აიცილა.

როგორც ხედავთ, არაბთა სახელმწიფოს ფარგლები ფრიად გაფართოვებულა; მრავალი სხვადასხვა ტომი შედიოდა ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრებში; ეს გარემოება კი ადრე თუ გვიან ხალიფატის დაშლასა და დანაწილებას გამოიწვევდა. და მართლაც, მერვე საუკუნის ნეხევარში მაჰმადის ბიძის აბულ-აბასის შთამომავლებმა მძლავრი მოძრაობა გამოიწვიეს ომაიადების წინააღმდეგ და ბოლოს ხალიფატის ტახტზე თვითონ დამკვიდრდენ. სატახტო ქალაქი დამასკოდან ბაღდათს გადაიტანეს და ამ სახით ევროპას უფრო დაშორდენ. ხოლო მთელი არაბეთი როდი გადასულა მათს ხელში. ესპანიაში ომაიადები დარჩენ და ამგვარათ მისცეს დასაბამი ცალკე სახელმწიფოს, რომელიც ცნობილი იყო კორდოვის ხალიფატის სახელით. ხოლო აფრიკაში მაჰმადის ქალიშვილის ფატიმეს შთამომავალნი დამკვიდრდენ.

ამგვარათ არაბთა ხალიფატი სამ ნაწილათ გაიყო: ბაღდათის ხალიფატი, სადაც ბატონობდენ აბასიდები, კორდოვის ხალიფატი ომაიადებისა და ფატიმიდების ხალიფატი აფრიკაში.

განსაკუთრებულ ძალას და ინტერესს წარმოადგენდა პირველი მათგანი, ამიტომ ჩვენც სწორეთ მის შესწავლას შევუდგებით.

ხალიფის მდგომარეობა.

პირველი აბასიდების დროს არაბთა ძლიერებამ ფრთები გაშალა აღმოსავლეთში. წარსულში დაწყებული მეტად ნაყო-

ფიერი ომიანობა უკვე მინელდა. არაბები შეუდგენ მყუდრო ცხოვრებას; ისინი გულდასმითა და ჭკვიანურათ სარგებლობდენ იმით, რაც ხანგრძლივ ლაშქრობაში მოიმკეს. აბასიდების დრო—სახელმწიფო წესწყობილების მშვიდობიანათ მოგვარებისა და მასთან ერთად ხალხის სულიერისა და მატერიალური ცხოვრების აყვავების ხანათ უნდა ჩაითვალოს.

აბასიდების ხელში პირველად ყოვლისა თვითონ ხალიფების უფლება გაძლიერდა უმაღლეს მწვერვალამდი; ეს უფლება მერმისში არა თუ არ გაზრდილა, პირიქით, ხალიფატის დაქუცმაცების მოახლოვებასთან ერთად სუსტდებოდა კიდეც.

აბასიდებამდიც, როცა არაბთა მიერ დაპყრობილი კუთხეების სატახტო ქალაქათ დამასკო ითვლებოდა, ხალიფების უფლება თანდათან ჰკარგავდა თავის პირვანდელს, მარტივსა და პატრიარქალურ ხასიათს. წინათ ხალიფებს, როცა ისინი რელიგიურსა და სამხედრო საქმეებში არაბთა მეთაურებათ ითვლებოდენ, ფიქრათაც არ მოუვიდოდათ—მეფურ ღირსება—პატივმოყარეობასა და სრა-სასახლეში ფუფუნებით ცხოვრებაზე ეზრუნათ. ეს დრო მაჰმადის პირველი მემკვიდრეების დრო იყო. მათი ცხოვრება დიდათ არ განირჩეოდა სხვა რომელსამე თავისუფალი არაბის ცხოვრებისაგან, და მხოლოდ ყველასგან მიჩნეული ღვთიური მადლი, რომელიც, როგორც წინასწარმეტყველის მოადგილეთ, მოვლინებოდათ, აბატონებდა მათ დაუდგრომელსა და მებრძოლ ხალხზე. ისინი ბჭობდენ წინასწარმეტყველის ღირსეულ თანამოღვაწეებთან და მათთან ერთად იმუშავებდენ განზრახული ომების პლანებს, წინაუძღოდენ ჯარს, განაგებდენ სალაროს, მსაჯულობდენ, ასრულებდენ ღვთისმსახურებას; ამრიგათ, მათი უფლების, მათი მოვალეობის საგანი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. მაგრამ ყველა ეს დიდათ არ ანსხვავებდა მათ უბრალო არაბთაგან. გადაცვლილი ხალიფის უფლებანი სახალხო

არჩევნებით ენიჭებოდა მის მემკვიდრეს, და ამიტომაც, ყოველი თავისუფალი არაბი სცნობდა, რომ მასაც ჰქონდა იურიდიული უფლება—გამხთარიყო ხალიფის მემკვიდრეთ, თუ კი გარემოება ხელს შეუწყობდა. არაბნი არ სთვლიდენ უმაღლეს უფლებას სამემკვიდროთ და არც არავის მიანიჭებდენ მას ვისმე ღვთიურობ ნების სასწაულებრივი ზეგარდმოვლენით.--თვითონ არჩევნების წესრიგი იმაში მდგომარეობდა, რომ სასულიერო და საერო წარჩინებულნი და მხედართმთავარნი გარს ერტყმოდენ კანდიდატს, და ეგიც არჩეულათ ითვლებოდა.

მერე ივი ფიცავდა ერთგულებას და მეჩითში შეკრებილი ხალხის წინაშე სიტყვას წარმოსთქვამდა. ამას შემდეგ კიდევ მეორდებოდა კანდიდატის არჩევანი, ხოლო უკვე მთელი ერის მონაწილეობით.

ასეთი იყო პირვანდელი წყობილება. მაგრამ დროს განმავლობაში, ქვეყნების დაპყრობათა გართულებასთან ერთად, არაბებმა შეისისხლხორცეს იდეები, ზნეჩვეულებანი ერთი მხრით შემოერთებულისა და მეორე მხრით დაპყრობილი ხალხებისა. მაშინ არაბთა ხალიფების ცხოვრებაშიც მოხთა ძირითადი ცვლილება. ბიძანტიის იმპერატორებმა და სპარსეთის მეფეებმა ბრძანებლობის მაგალითი უჩვენეს მათ, და ხალიფებმაც მიბაძეს ამ მაგალითს. წარმოდგენა თავისი უფლების საღვთო ხასიათზე და სასახლის გადაჭარბებული ცერემონიალი, ვით გარეგანი გამოხატულება მათი მდგომარეობის არაჩვეულებრიობისა,—აი ის მხარეები, რომელნიც ახლა სხვათა მაგალითების ზეგავლენით არაბთა ხალიფების ნიშანდობლივი თვისებები შეიქმნა. ამასთან ერთად ხალხის წინანდებური განწყობილებაც შეიცვალა ხალიფებისადმი. ბაღდათის ხალიფატის დაარსების დროს ხალიფები სრულებით არ წაგავდენ თავისი უფლებითა და ცხოვრებით მაჰმადის პირველ მემკვიდრეებს. მაშინ არაბები თავის ხალიფს უყურებდენ ისე,

ვით მიუწდომელი დიდებით აღჭურვილ პირს, ვით ღვთაების ამ ქვეყნათ ვლენის განსახიერებას, ვისი უფლებაც ვერ გუობს ვერავითარ წინააღმდეგობას, ვისი ძალაც უსაზღვროა. ხალიფს ხელთ ეპყრა როგორც სასულიერო, ისე საერო უფლებანიც: ქონება, სიცოცხლე, თვით სინიდისიც კი ქვეშევრდომისა მის განუყოფელ გამგებლობაში იყო. ხელქვეითთათვის იგი ერთსა და იმავე დროს იმპერატორიც იყო და პაპიც. ძველი არაბული ადათი ხალიფის საერო არჩევნებისა არ გამქრალა ხალხის შეგნებაში და არც სინამდვილეში, თუმცა ხალიფების მდგომარეობაში მომხთარი მომწიფებული ცვლილებანი აუცილებლათ არყევდენ მას. ხალიფების ძველი წესით არჩევასთან ერთად გახშირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა მეუფე ხალიფი თავისი ნებით ნიშნავდა თვისს მომავალ მემკვიდრეს. თვითონ ხალხში თანდათან გამოირკვა მოწინააღმდეგე შეხედულებანი ამ საგნის შესახებ: ზოგი ძველ ადათს არ ღალატობდა, ზოგი მიუცილებელ საჭიროებათ სთვლიდა წინანდებური არჩევნების სახალხო ხასიათის შემოფარგვლას. აღიძრა აზრთა და შეხედულებათა ბრძოლა, რომელმაც მაშინდელს მეცნიერულ ლიტერატურაშიც იჩინა თავი. ცხადია, უნდა მომხთარიყო ძველი წესწყობილების ცვლილება. პირველი აბასიდები თავისი უძლიერესი უფლებით საუცხოოთ სარგებლობდენ: ისინი, პატივცემულნი ქვეშევრდომთა და მეზობელთა მიერ, შრომობდენ ერის საკეთილდღეოთ. მათ მიანებეს თავი ომებითა და დაპყრობით სახელის მოხვეჭას; მხოლოდ ცთილობდენ თავისი ქვეყნის შინაგან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. და კიდევაც მოახთინა მათმა მზრუნველობამ ნაყოფიერი გავლენა ცხოვრების მრავალ მხარეზე. ისინი ანვითარებდენ სახელმწიფო დაწესებულებებს; ჭკვიანურათ სარგებლობდენ სალაროს კარგი მდგომარეობით. საუკეთესოთ მოაწყვეს თავისი მხარე: ბაღდათიდან მექამდი ჩამწ-

კრივდა ცისტერნები, რომელნიც დიდ დახმარებას უწევდენ პილიგრიმებსა და მოვაჭრეთა ქარავნებს. აქა-იქ გააშენეს ქარავან—ფანჩატურები; ხალიფატის სხვადასხვა კუთხეში—უმთავრესათ მესოპოტამიის ოლქში—გაჩაღდა სარესტავრაციო მუშაობა და არხების გაყვანა; სახელმწიფოს კუთხეებში მოაწყვეს საფოშტო ტრაკტები; ფოშტის ორგანიზაციაზე საზოგადოთ ჯეროვანი ყურადღება იყო ძიქცეული: ბაღდადში ინახებოდა საფოშტო სადგურების სია, რომელშიც აღნიშნული იყო მათი სიშორის მანძილი და სხვა.

მხარე ცოცხლდებოდა, ხალხის კეთილდღეობა მატულობდა, მაგრამ ხალიფის შეუზღუდველი უფლება მაინც მძიმე ტვირთად აწვა ყველას. თუ როგორ საშიშროებას წარმოადგენდა დესპოტიური უფლება ხალხის ცხოვრების განვითარებისათვის, ეს შემდეგი ხალიფების მაგალითმა დაგვანახვა; იმ ხალიფების, რომელნიც არ ფიქრობდენ წინაპართათვის მიუბაძათ უფლების გონიერათ მოხმარებაში.

ადმინისტრაცია.

დასაწყისში არაბთა სახელმწიფო დაწესებულებანი მარტივი ხასიათისა იყვნენ. ხოლო აბასიდების დროს, უზარმაზარი სახელმწიფოს შინაური ცხოვრების განვითარებასთან ერთად, იგინი გამრავლდენ და გართულდენ. ვიცით, რომ მესამე ხალიფი აბასიდების სახლეულობიდან თავისი უფლების უმთავრეს იარაღათ სთვლიდა ოთხს წარჩინებულ პირს: 1) მსაჯულს (ყადს), 2) პოლიციის მართველს, რომელიც პირველათ განსაკუთრებით ხალიფის პიროვნების დამცველათ ითვლებოდა, 3) ფინანსთა მინისტრს და 4) ფოშტის მართველს. ეს პირნი იყვნენ ხალიფის უმაღლესი ბრძანების უცილობლათ ამსრულებელნი. მათ შორის ფოშტის მართველს ეკავა ცოტათი განსხვა-

ვებული მდგომარეობა, რომელიც მის თანამდებობას სავსებით-მაინც ვერ შეეფერებოდა. მის მოვალეობათა შორის თვითონ მართველობა ფოშტისა რაღაც გარეშე საქმეთ იყო მიჩნეული. უკეთ რომ ვსთქვათ,—იგი იყო სახელმწიფო კანტროლის გამგე, „თვალი ხელმწიფისა:“ ის თვალყურს ადევნებდა მთელის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მსვლელობას როგორც სატახტო ქალაქში, ისე ოლქებშიც; ეყურადღებოთ არ სტოვებდა თუნდა სრულებით წვრილმან მოვლენებს და ყოველს საჭირო საქმეს დაუყონებლივ აცნობებდა ხელმწიფეს. მისი ცნობანი ეხებოდენ სხვადასხვა საგანს: სახელმწიფო ქონების მართვა-გამგეობას, მიწის მუშაობის მდგომარეობას, გლეხთა მდგომარეობას, მოხელეთა ვერაგობას, სახელმწიფოში ხმარებული ფულის რაოდენობასა და სხვ. და სხვ. მას მსახურობდა საპროვინციო ფოშტმეისტერთა კრებული. ამ უკანასკნელთა მოვალეობას არ შეადგენდა კერძო წერილების აქეთ-იქით გზავნა,—ისინი უთვალყურებდენ ყველაფერს, რაც პროვინციაში ხთებოდა, რომ პასუხის გაცემა შესძლებოდათ ფოშტის უფროსი მართველის პირველსავე შეკითხვაზე. ისინი თავის პროვინციაში არავის არ ექვემდებარებოდენ; ისინი გამოცალკევებული იყვნენ ყველა სხვა საპროვინციო მოხელეთაგან, ვით მიუდგომელი მეთვალყურენი პროვინციალური ცხოვრებისა. მათ არავინ ეხებოდა, და ყველას მათი ეშინოდა.

ხალიფატის სახელმწიფოებრივი ცხოვრების გართულებასთან ერთად ამ მთავარი მართველების დროს იმატა სასამართლოებისა და კანცელარიების რიცხვმა. ესენი იწოდებოდენ დივნებათ.

მათ შორის უძველესი იყო: 1) სახელმწიფო კანცელარია, რომელიც ომაიადების დროსაც არსებობდა; აქ მზადდებოდა უმაღლესი ბრძანებანი, მოდიოდა ხალიფისადმი მიმართული საჩივრები და თხოვნები. ამნაირათ, ამ დაწესებულებას,

სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე უეჭველათ უდიდესი გავლენა ექნებოდა. აქ უპირველესი მართველი ხალიფის მთავარი მინისტრი, დიდი ვეზირი იყო. 2) ფინანსთა მინისტრის სამართველო ბოლო ხანში ოთხ დამოუკიდებელ დივნათ გაიყო. ყოველი მათგანი თავის განსაკუთრებულ საქმეებს განაგებდა: ერთი ჯარების მოწყობას, მეორე—ხარჯის აკრეფას, მესამე—მოხელეთა დანიშვნის საქმეს, მეოთხე -ფინანსიური მდგომარეობის საერთო მეთვალყურეობას.

ძველ დაწესებულებათა განვითარებასთან ერთად აბასიდების დროს წარმოიშვა სრულიად ახალი სადივნოები, მაგალ., ფოშტის მართველის სადივნო და სხვ. ამნაირათ აბასიდების დროს შემუშავდა უფრო მოხერხებული და განვითარებული სახელმწიფო მართვა-გამგეობა; სანდო წარჩინებულთა პატარა წრის მაგიერ, რომელთაც ხელთ ეპყრათ ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ყოველი საქმე, წარმოსდგა წესიერათ დაყენებულ დაწესებულებათა მთელი რიგი. და ეს ნაყოფიერი მუშაობა არ შეჩერებულა აბასიდების ხალიფატის დროს. თითქმის ყოველი ხალიფის მართველობაში მომხთარა ცვლილება წინათ წარმომდგარ სადივნოებში, მათი რიცხვის მომატებითა და თვისების გაუმჯობესობის მხრით.

ვ ე ზ ი რ ი.

აბასიდების მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში შეტანილი უმთავრესი ცვლილება მდგომარეობდა **ვეზირის** თანამდებობის დაწესებაში. ეს თანამდებობა მალე სახელმწიფოს უპირველეს ძალათ შეიქმნა. თუმცა-ღა, მისი მნიშვნელობა ერთბაშათ კი არა, თანდათანობით გაიზარდა. აბასიდებმა ეს თანამდებობა სპარსელებისაგან გადმოიღეს. პირველათ ვეზირს არავითარი დამოუკიდებელი უფლება არ ჰქონია, იგი ინიშნებოდა ისე, ვით შვამავალი ხელმწიფესა და ხალხს შუა, რო-

გორც მარჯვენა ხელი ხელმწიფისა და ჩრდილი ხალიფისა, მის ხელში გაივლიდა ყოველი უმაღლესი ბრძანება, და იგიც ადასტურებდა ამ განჩინებათა უტყუვრობას ბეჭდის დაკვრითა და ხელის მოწერით. იგი იყო პირველი მსახური ხალიფისა და მეორე კაცი სახელმწიფოში. ამაში მდგომარეობდა ე. წ. **განსაზღვრული ვეზირატი**. მაგრამ, ცხადია, ვეზირებს სწორეთ ეს უფლება უკაფავდა გზას მთელს მხარეში ნამდვილი პირველობის მისახწევათ. ჭკვიანი ვეზირისათვის ძნელი არ იყო დაემორჩილებია თვითონ ხალიფის ნება-სურვილიც. ასეც ხთებოდა, როცა ტახტს ვინმე ჩვეულებრივი პიროვნება ფლობდა. ხალიფატის ისტორიის ფურცლებზე აღნიშნულია მთელი ხანა ბამარკინების დინასტიის ვეზირთა განუსაზღვრელი ბატონობისა. მხოლოდ ჰარუნ-ალ-რაშიდმა დასცა მათი ბატონობა.

მაგრამ უკვე თვითონ ვეზირის თანამდებობის მდგომარეობა ანიჭებდა ვეზირებს უპირატესობას ხალიფის წინაშე; ყოველივე ძალა-უფლების წყაროსთან ვეზირივით ახლო არავინ იდგა, თვითონ ხალიფი ვეზირის დახმარებით თუ საქმობდა თავის სამფლობელოში. ვეზირატის დაარსებამ ისინი ხომ სულ დაჩრდილა ხალხის თვალში და, ამნაირათ, თვითვე მიუსაჯეს თავის თავს პირვანდელი თავისი მნიშვნელობის თანდათანობითი დაკარგვა; იმ მნიშვნელობისა, რომლის წინანდელი სიდიდის შენარჩუნება ძნელი იქნებოდა მაშინაც კი, რომ სურვილი ჰქონოდათ—პირადათ ეზრუნათ ქვეყნის სასარგებლოთ. ამას უერთდებოდა აგრეთვე თვითონ დინასტიის გადაშენებაც; პირველი აბასიდების მემკვიდრენი არარაობას თუ წარმოადგენდენ; ისინი თავისი სრასასახლის ვიწრო ინტერესებით ღა ცოცხლობდენ, ყველა ეს ვეზირების მნიშვნელობას უფროდაუფრო აძლიერებდა. თანდათან წარმოიშვა განუსაზღვრელი ვეზირატი. უკვე ვეზირებმა, ფრანკთა

მიორდომების მსგავსათ, ხელში ჩაიგდეს სახელმწიფოს ყოველი საქმე, მხარეს მართავდენ თავისი სურვილის შესაფერათ და არა ისე, ვით ამსრულებელნი უმაღლეს ბძანებათა, თვითონ ნიშნავდენ მოხელეებს, თვითონ არკვევდენ სახელმწიფო საკითხებს. ხალიფები კი ტახტზე რჩებოდენ ვით სასახლის ცერემონიალის უბრალო დამამშვენებელნი.

ძნელი იყო ვეზირის პასუხსაგები თანამდებობის სინდისიერათ ასრულება. ამისთვის საჭირო იყო მრავალმხრივი ცოდნა და უნარი. ვეზირი მიჩნეული იყო კარგ მცოდნეთ სახელმწიფო საქმისა და სასახლის ეტიკეტისა რომელიც ფრიად ძნელ ხელოვნებათ ითვლებოდა. ვეზირისთვის სავალდებულო იყო ცოდნა მათემატიკისა, მედიცინისა, ასტრონომიისა, და ისტორიისა; ცოდნა ჭადრაკისა და ბურთის თამაშისა, ციტრაზე დაკვრისა;—ეს კიდევ ცოტაა,—მთლიანი რომ ყოფილიყო საერო ტალანტი, ვეზირს მოეთხოვებოდა ცოტაოდენი პოეტობა, ლექსებისა და საყურადღებო მოთხრობების იმპროვიზაციის ნიჭიერება.

საპროვინციო მართველობა.

ასეთი იყვნენ ის დაწესებულებანი და უმაღლესი წარჩინებულნი, რომელნიც გარს ეხვეოდენ ხალიფს და მასთან იყოფდენ მთელს ხალიფატზე მზრუნველობას. ცალკ-ცალკე ადგილების უახლოესი მართვა-გამგეობისათვის ხალიფატი დანაწილებული იყო პროვინციებათ; ყოველი პროვინციის სათავეში იდგა გუბერნატორი, რომელიც ინიშნებოდა ხალიფის მიერ. იგი მის პროვინციაში უმაღლესი მთავრობის წარმომადგენლათ ითვლებოდა და ამიტომ როგორც თვითონ ხალიფიც, განაგებდა სასულიეროსაც და საერო საქმეებსაც: არაბებს არ ჰქონდათ გარჩევა მხედართმთავარსა და ღვდელმთავარს შორის. გუბერნატო-

რები ქადაქებდენ მეჩეთებში, თავმჯდომარეობდენ სამლოცველო კრებებზე. საერო საქმეებში მათ მინიჭებული ჰქონდათ დიდი უფლება, რომელიც ისტორიის წინსვლასთან ერთად უფროდაუფრო მატულობდა. პირადათ ისინი ნიშნავდენ მსაჯულებს (ყადებს), საფინანსო და საპოლიციო მოხელეებს, განაგებდენ იქ ჩაყენებულ ჯარებს და ასე წარმოიდგინეთ—თუ მათი პროვინცია შედებარეობდა ხალიფატის საზღვარზე, დამოუკიდებლათ ებრძოდენ მეზობელ ურწმუნოებს. მართალია, როგორც დავინახეთ, ყოველს მათ მოქმედებას გაფაციცებით უთვალყურებდენ სატახტო ქალაქიდან მოგზავნილი მოხელეები, ფოშტმეისტრები, მაგრამ მაინც დიდუფლებიან გუბერნატორთა ხელში ხალიფატის მთლიანობისთვის ფრიად სახიფათო ძალა იზრდებოდა. აბასიდების უფლებათა შესუსტებასთან ერთად გუბერნატორები ნამდვილი პატარა ხალიფები შეიქმნენ; მათ თავისი წინანდელი დამოკიდებულობის ხსენებაც კი არ უნდოდათ. და ბაღდადის მთავრობას, როცა მან თავისი ქვეყნის დანაწილების ჟამის მოახლოვება იგრძნო, შიში შეეპარა; იგი იძულებული გახთა—გუბერნატორებთან, ვით ცალცალკე ხელმწიფეებთან, განსაკუთრებული ხელშეკრულობა მოეხთინა. უფროდაუფრო გახშირდა ისეთი შემთხვევები, როცა წარჩინებულნი, ხალხის სურვილის წანააღმდეგ, ბრძოლით იპყრობდენ მთელ პროვინციებს. ხალიფები, თავისი მხრით, უთმობდენ მათ და, როგორც დამპყრობელებთან, მოლაპარაკების საშვალებით თანხმობას ამყარებდენ. ამნაირათ წარმოსდგა ერთგვარი ჯგუფი გუბერნატორთა, რომელთაც დაერქვათ უზურპატორები. მაგრამ თუ ისინი თავისი ძლიერი უფლებით ხალიფატის შესუსტებას იმუქრებოდენ, პროვინციების თვითმართველობა მაინც ვერ მოსპეს. ყოველი ქალაქი და სოფელი თავისი საკუთარი მართვა-გამგეობით სარგებლობდა. გუბერნატორთა მიერ დანიშნული მოხელეები მხოლოდ იმას

თუ უთვალყურებდენ, რომ მცხოვრებთ წესიერათ შემოეტანათ სახელმწიფო ბეგარა. ხოლო გამონაკლისს მარტო ის ღა შეადგენდა, რომ მთავრობა თვითონ განაგებდა ყანების დამუშავების გაუმჯობესების საქმეებს: იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ხელოვნური სარწყავი არხების გაყვანის საშვალებით განვითარებას, და სწორეთ ამაში იხატებოდა მათი პირდაპირი მიზანი—აეწიათ ხალხის მატერიალური მდგომარეობა და შეემსუბუქებიათ მისთვის სახელმწიფო ბეგარის მძიმე ტვირთი. გარეშე ამისა, მთავრობა არ ერეოდა ქალაქთა და სოფელთა შინაურ ცხოვრებაში იმ შემთხვევების გამონაკლისით, როცა საჭირო იყო მოეგვარებიათ რამე გაუგებრობა და უწესრიგობა. აი რატომ ვერ ვპოვებთ ჩვენ პროვინციებში აუარება მოხელეებს, როგორც ეს იყო, მაგ., ბიძანტიაში. ამ მხრით ბიძანტიის მაგალითმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონია არაბთა ცხოვრებაზე,

საფინანსო მოხელეებს გარდა, რომელნიც ინიშნებოდენ შეწერილი ხარჯის ასაკრეფათ, პროვინციებში ჩვენ გვხვდებიან მსაჯულნი (ყადები) და საპოლიციო **ზედამხედველნი**. ყადები მარტო სადავო საქმეებსა და სამსაჯულო პროცენტებს კი არ არჩევდენ; იგინივე ითვლებოდენ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენლებათ ოჯახურისა და საზოგადო ცხოვრების იმ შემთხვევაში, რომელნიც საჭიროებდენ მთავრობის საქმეში ჩარევას და ყურადღებას; ამ მხრით მათი მოღვაწეობა ძალიან წააგავდა პოლიციის ზედამხედველთა მოღვაწეობას; მაგალითად, ყადები ნიშნავდენ სულითავათ-მყოფთა და მცირეწლოვანთა ქონების აპეკუნებს, ყურადღებით ეპყრობოდენ ანდერძის შესრულების საკითხებს, გზების გაყვანისა და შენობის აგების საქმეებსა და სხვა ასეთებს; იგინივე განაგებდენ ხარჯის აკრეფას, თუ კი ამისთვის განსაკუთრებული მოხელე არ იყო დანიშნული; საზოგადო წესრიგს

პოლიციის მოხელეებიც ადევნებდენ თვალყურს. ხოლო ყადის ნებადაურთველათ მხოლოდ მაშინ მოქმედობდნენ, როცა წესიერების დარღვევა თვალსაჩინო იყო, დამნაშავე თვალწინ ყავდათ და ისღა რჩებოდა, რომ უკანონო საქციელი შეეჩერებიათ და დამნაშავე დაესაჯათ; მაგრამ თუ კი საჭირო იქნებოდა საქმის გარჩევა და განსჯა—ვინ იყო მტყუანი, ვინ შეურაცხყოფილი, განმარტება დანაშაულის ხასიათისა,—პოლიციის ზედამხედველი მაშინვე ყადს დაუთმობდა ადგილს. თუმცა, ამას გარდაც, პოლიციის ზედამხედველის უფლება ძალიან ვიწროთ იყო შემოფარგული; მაგალითად მას აკრძალული ჰქონდა—მყუდრო ოჯახთა კერძო საქმეებში ჩარეულიყო. ქუჩა, მოედანი, საზოგადო ადგილები—აი სად იყო მისი მსახურების ასპარეზი.

ბ ე გ ა რ ა.

ხარჯის აკრეფა, როგორც ნათქვამია, მაინც წარმოადგენდა ხალხის მთავრობასთან დამოკიდებულების განმამტკიცებელს მთავარ ძარღვს. ხარჯები სხვადასხვანაირი იყო. უმთავრესათ მათში ითვლებოდა ზეკატი—შემოსავლის შესაფერი გადასახადი. ხარაჯი—ბეგარა ანუ ყალანი, ჯიზიე—საკომლო გადასახადი. ამ გადასახადების მცხოვრებთა შორის განაწილებაში, სხვათა შორის, ნათლათ მოსჩანს, როგორი გავლენა ჰქონდა რელიგიურ შეგნებას არაბთა მცხოვრებთა სხვადასხვა მხარეებზე. როგორც სხვა ბევრ შემთხვევებში, ისე ხარჯის გაწერაშიც, მთავრობა დიდათ არჩევდა მუსულმანებს ურწმუნოთაგან. მუსულმანები იხთიდენ მხოლოდ ზეკატს, ხოლო ურწმუნოებს კისრათ აწვათ ხარაჯი და ამას გარდა, ჯიზიეც; ზეკატი შეადგენდა შემოსავლის მეათედს, ასე რომ გადასახადის რაოდენობა შემოსავლის რაოდენობასთან ერთად იცვლებოდა. ზეკატი ეწერებოდა სხვადასხვა ქონებას: სახნავ მიწებს,

სახლებს, ხილთა ნაყოფს, ჯარებს, სავაჭრო საქონელსა და ფულის თანხას. სხვათა შორის, მაშინ ძნელი საქმე არ იყო ხარჯის გადახდისაგან თავის გათავისუფლება, თუ კი ვინმე ქონების ერთ ნაწილს დამალავდა. ძნელათ დასამალავი ქონების რაოდენობას, მაგალ. სახნავი მიწებისას, სახლებისა და ჯოგებისას —ხარჯის ამკრეფი თვალდათვალ გამოზომავდა; ხოლო რაც შეეხება სავაჭრო საქონელსა და ფულის თანხას, მთავრობა პირდაპირ უღონოთ სთვლიდა თავის თავს ეთვალყურებია მათი რაოდენობის ცვალებადობისათვის და იძულებული იყო თვითონ მფლობლების ჩვენებას დამყარებოდა. ზეკატი, როგორც წმინდა მუსულმანური ხარჯი მხოლოდ მუსულმანთაგან იკრიბებოდა.

ხარაჯსა და ჯიზიეს კი ურწმუნოებს ახთევიებდენ. ხარაჯი იყო წმინდა საბეგრო გადასახადი. ამ ხარკის საზომი უკვე აღარ იყო დამოკიდებული შემოსავლის მეტ-ნაკლებობის დროულ რყევაზე. მთავრობა თვითონ აწესებდა განსაზღვრულ გამოსაღებს, მასტს. მაგრამ ეს გამოსაღები სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირათ იზომებოდა; პირველათ იგი დამოკიდებული იყო მიწის ზომაზე; მერე შემოიღეს მცხოვრებთათვის უფრო ხელსაყრელი წესი: გამოსაღები ეთანაბრებოდა მიწის საშვალო ნაყოფიერობასა და მისი დამუშავებისა და საზოგადოთ მიწის მუშაობის საშვალებათა გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ხარჯების საშვალო რაოდენობას; გაუმჯობესების მხრით პირველ პლანზე იყო მინდვრების ხელოვნური რწყვა. მიწების მიტოვება დაუმუშავებლათ აკრძალული იყო. ვისაც არ შეეძლო დამუშავება, მას ევალებოდა მიწის საღალოთ გაცემა ან მიწის მფლობელობაზე სრულიად ხელის აღება იმ მოსაზრებით, რომ მიწები უნაყოფოთ არ დაეგდოთ.

საზოგადო გადასახადი--ჯიზიე, ზოგიერთი ცნობით, გადამხდელთა შეძლების მიხედვით სამნაირი ზომით იკრიფებო-

და. მდიდრები ყოველ წელიწადს იხთიდენ ნახევარჯერ მეტს, ვიდრე საშვალო შეძლების მქონენი, ხოლო ეს უკანასკნელნი—ნახევარჯერ მეტს, ვიდრე ღარიბნი. მაგრამ ერთხელვე დაწესებული რაოდენობა გადასახადისა საზოგადოთ აღარ იცვლებოდა. ამ ხარკს, ჯერ კიდევ ყურანის IX თავში დაკანონებულს, ხარკის ხასიათი ჰქონდა; იგი იკრიბებოდა დამარცხებული ხალხებისგან, რომელნიც თავის სარწმუნოებას არ ღალატობდენ და არც უნდოდათ -დამპყრობელთ შესისხლხორცებოდენ; ეს გადასახადი მიდიოდა მხოლოდ მუსულმანთა სასარგებლოთ.

ყოველ გადასახადს თავისი ერთხელვე სამუდამოთ დაწესებული განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა. ამრიგათ, ზეკატი შვიდი მიზნისთვის იყო განსაზღვრული: 1) ღარიბთა შესაწევნათ, 2) ხარჯის ამკრეფთა დასაჯილდოვებლათ, 3) იმ პირთა სასარგებლოთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს ისლამს ან ფულის შეწირვით და ან სხვა რაიმე საშვალებით, 4) მონათა გამოსასყიდათ თავისუფლების მინიჭებისათვის, 5) კერძო პირთა ვალების გადასახდელათ, თუ ეს ვალები სახელმწიფოსა და ისლამის ინტერესებით იყო გამოწვეული, 6) იმ მუსულმანთა შესანახათ, რომელნიც თავისი სურვილით იბრძოდენ საღვთო ომებში და 7) უმწეო უცხოელთა დასახმარებლათ.

ზეკატის შემოსავალი იქვე იხარჯებოდა, სადაც იგი იკრიბებოდა; ყოველ ქალაქსა და ოლქში იგი მაშინვე ნაწილდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, რომელნიც რომელსამე ზევით ჩამოთვლილ ჯგუფს ეკუთვნოდენ, ხოლო თუ ასეთი არავინ აღმოჩნდება, მაშინ შეიძლებოდა ზეკატის შემოსავალის სხვა რომელიმე ადგილზე გადაგზავნაც.

სრულიად სხვა დანიშნულება ჰქონდა იმ ხარჯებს, რომელნიც ურწმუნოთაგან იკრიბებოდენ. ყურანის ერთი ადგი-

ლის თანახმათ, მთელი შემოსავალი ყოფოდა ხუთს თანასწორ ნაწილათ. ერთ ნაწილს განაგებდა წინასწარმეტყველი და შემდეგ მისი მემკვიდრენი —ხალიფები (ისინი უკვე თვითონ ანაწილებდენ მას თავისი პირადი ხარჯების დასაფარავად, ნათესავების სარჩენათ, ობოლთა და ღარიბ მოგზაურთა სამოწყალოთ). დანარჩენი ოთხი ნაწილი ხმარდებოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობას და, პირველ ყოვლისა, ჯარის შენახვასა და ჯარის კაცთა ჯამაგირს.

ამრიგათ, მუსულმანური გადასახადი, ზეკატი, ხმარდებოდა რელიგიური ხასიათის საქმეებს და სხვა და სხვა ჯგუფის პირთ, რომელნიც რამე მიზეზით სახელმწიფოს განსაკუთრებულ მფარველობას ქვეშ მოხვდენ.

ასეთი იყო სახელმწიფოს შემოსავალის უმთავრესი წყაროები. მართალია, როცა კი შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, მთავრობა ყოველთვის უმსუბუქებდა ხალხს ტვირთს ბეგარის რაოდენობის შემცირებით, მაგრამ ხალიფატის ისტორიის წინსვლასთან ერთად, სახელმწიფოს ფინანსიური გაჭირვება უფრო და უფრო მწვავდებოდა. უკვე ახლოვდებოდა სახელმწიფოს დაქუცმაცების ჟამი; ერი ღატაკდებოდა, სალარო მალმალე ცარიელდებოდა. 775—786 წ.წ. თუ წლიური შემოსავალი სახელმწიფოსი უდრიდა 411 მილიონ დრამას, 819—820 წ.წ. იგი 371 მილიონამდი დაიწია, ხოლო 845—874 წ.წ.—293 მილიონამდი და ასე ამნაირათ თანდათან კლებულობდა. აი იმის მაგალითი, როგორ მალე შრებოდა სახელმწიფოს სიმდიდრის წყაროები. ფინანსიური დაცემის მიზეზები ხალიფატის სრულ დანაწილებაში მდგომარეობდა. ამ დანაწილებამ გამოიწვია მთელი რიგი სამწუხარო და ანორმალური მოვლენებისა: გარეშე და შინაური ომები, მოქალაქეთა კინკლაობა, ხალიფების სამართველო ავტორიტეტის სრული დაცემა და მათი სახლების გიჟურათ მდიდრული მოწყობილობა, გუბერნატორ-

თა დაუსჯელი მტაცებლობა, რომელთაც სრულიად დავიწყებოდათ ყოველივე მორჩილება ბაღდადის მთავრობისადმი და რომელნიც გამხთარიყვნენ მათ სამფლობელოებში პატარა თავადებათ.

ჯ ა რ ი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ არაბთა სახელმწიფოში ჯარის შენახვას დიდი თანხა უნდებოდა. აქ გაუგებარი არაფერია. არაბებმა თავისი სახელმწიფოს ძლიერება მახვილის შემწეობით შექმნეს, და რა გასაკვირველია, თუ არაბი პოლიტიკოსების აზრით—ხალხის ძლიერების მთავარ ძარღვს ჯარი წარმოადგენდა. ხოლო ჯარს ერთბაშად კი არ მიუღია ის სახე, რომელიც აბასიდების დროს ჰქონდა. დასაწყისში სამხედრო წყობილება საკმაოთ პირველყოფილი ხასიათის იყო: ჯარი დანაწილებული იყო ტომური სხვადასხვაობის შესაფერათ, მხედრობათა მოძრაობა არ ემორჩილებოდა შემუშავებულ პლანს; კერძო პირთა შეტაკება ხშირათ ბრძოლას გამოიწვევდა, ხოლო მერე ეს ბრძოლა საერთო ჟლეტით თავდებოდა. ომაიადების დროს არაბულმა ჯარმა სახე იცვალა უმთავრესათ ბიძანტიურის სამხედრო წესრიგის ზედგავლენით; არაბები გაეცვნენ ნამდვილს სამხედრო წესებს; ჯარის ხუთ ნაწილათ გაყოფაც შემოიღეს; იყო ცენტრი, ორი ფრთა, ავანგარდი, არიერგარდი და წესიერათ მოწყობილი ბანაკი. უკანასკნელი ომაიადის დროს ჯარის შერენგათ დაწყობა შეიცვალა; ამის მაგიერ დაწესდა მთელი რიგი სოლდათების პატარა რაზმებისა, რომელნიც მჭიდრო ჯგუფებად იყვნენ ჩაყენებული; ასეთ ჯგუფებათ იყვნენ ისინი დაყოფილი ბრძოლის დროსაც. არაბი-ჯარისკაცის იარაღიც ბიძანტიურს წაგავდა; ხმარობდენ მახვილსა, ფარსა, შუბსა, შვილდ-ისარსა, შურდულსა, ჩაჩქანსა და ჯავ-

შანს. ხოლო არც ბიძანტიელთა სასროლი იარაღები იყო მათთვის უცხო.

დიდებული და ეფექტიანი იყო არაბული მხედრობის შესახედაობა, როცა იგი მომტრე სახელმწიფოში შედიოდა. ცხენოსანთა ცქვიტი რაზმები, ბრჭყვიალა ჯავშნებითა და ფოლადის ჩაჩქნებით მოკაზმულნი, სირაქლემას ფრთებით მორთული გრძელი შუბებით, ავანგარდში მიდიოდენ; მათ მისდევდენ მოშავო ფერის, ჩასკვნილი ნახევრათ შიშველი მოისრენი; ასეთივე რაზმები მიუძღოდენ არმიას აქეთ-იქიდან, რომ, მისი ორივე ფრთა მტრის მოულოდნელი დაცემისგან დაეფარათ; შვაში მომწყვდეული იყო მრავალრიცხოვანი ქვევითი ლაშქარი, შეირაღებული ფარითა და მახვილით და აქლემების მთელი წყება, რომელნიც დატვირთული იყვნენ სურსათით, კარვებითა და წინათვე მინახული იარაღით; უკან მიდიოდენ ეტლები ავათმყოფი ჯარისკაცებითა და საომარი იარაღებით. საომარი იარაღები ნაწილ-ნაწილათ მიჰქონდათ აქლემებით, ცხენებითა და ჯორებით. თუ ჯარში იმყოფებოდა ხალიფი, მას გარსერტყა ბრწყინვალე გვარდია. აქ იყვნენ სპარსელები შავი მაღალი ბოხოხებით და თურქი საუცხოო რიდეებით. გვარდიის დროშაზე ლამაზათ ოქროს ასოებით იყო ნაკერი ხალიფის სახელი. თვითონ ხალიფი მიდიოდა ოქროთი და თვალმარგალიტით მორთული თოხარიკით, გარშემორტყმული სასახლის კრებულითა და უმაღლესი წარჩინებულებითა. მათ შორიახლოდან მოსდევდენ ფარდებით მჭიდროთ შემორტყმული ქეჯაოები (პალანკინები), რომელთაც იცავდენ საჭურისები; იქ იჯდენ ჰარამხანის რჩეული ქალები.

დღე—პატარა მანძილის გავლას შემდეგ—ჯარი წინათვე დანიშნულ ადგილზე დაბანაკდებოდა, და აი მოტიტვლებულ მინდორზე, თითქო სამისნო კვერთხის მოქნევით, აშენდებოდა კარვების მთელი ქალაქი, ბაზრებითა და მოედნებით მო-

ფენილი. აქეთ-იქით გაჩაღდებოდა კოცონი, და ვახშამს შემდეგ, დაიყოფოდენ თუ არა ჯარისკაცნი ჯგუფებათ, მოყვებოდენ ძველის არაბული ჭიანურისა და სალამურის ხმებთან შეწყობილ ლექსებს.

დაპყრობილს ქვეყნებში ჯერ კიდევ ომაიადების დროიდანვე აარსებდენ მუდმივს მეციხოვნე ჯარებს სიმაგრეებში. ხალიფატის ყოველ პროვინციაში აშენდა მაღალი ციხეები და ამ ციხეებთან—ჯარის კაცთა სოფლები. ზოგი ამ სოფელთაგანი დროს განმავლობაში გადიდდა, იმატა და ქალაქათ გახთა. ასე გაშენდენ, მაგალ. ბასორა და კუფა. სახელმწიფოს საზღვრებზე ასეთი ციხეების მთელი წყება გაშენდა. ომარის კანონით ციხეში მცხოვრებთ სასტიკათ ჰქონდათ აკრძალული მიწისმუშაობა. ისინი ყოველ წელიწადს უნდა გალაშქრებულიყვნენ მეზობელ ხალხთა ჯარების მოძრაობის სათვალყურეოთ. ეს იყო რიგიანათ დაწესებული განუწყვეტელი ყოველთვის მოსახთელი სადარაჯო სამსახური. ამრიგათ პირველ ყოვლისა სირიის საზღვარი მოაწყვეს; შემდეგში იგივე წესი ყველგან შეიტანეს.

არაბისათვის სამხედრო სამსახური ითვლებოდა არა მარტო საღვთო მოვალეობათა და საპატიო თანამდებობათ, არამედ იგი იყო მისთვის მოსაგებიანი საქმეც. არაბი-ჯარისკაცნი, წინაალმდეგ ბიძანტიელ დაქირავებულ ჯარისკაცთა, რომელნიც უმნიშვნელო ჯამაგირით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, სალაროდან დიდ ჯილდოს იღებდენ და, ამას გარდა, ალაფშიც ედვათ წილი. ალბათ ამიტომ არაბებმა არც კი იცოდნენ—რა იყო ჯარში ნაძალადევათ გაწვევა.

ლაშქარში მონაწილეობა თითოეულის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული: მდიდრებს იზიდავდა ომის საღვთო დანიშნულება და ღარიბებს, ამას გარდა, გამდიდრების იმედიც. აქიდან წარმოსდგა მეომართა ორი რიგი: მდიდარი, ლაშქარს

ნებით გასული მხედრობა და მხედრობა ჯამაგირიანი სოლდა-
თებისა. პირველათ ჯარს სახელმწიფო სალარო ინახავდა თა-
ვისი თანხით, ხოლო ხალიფატის თანდათანობით დანაწილე-
ბას შემდეგ, როცა სალარო გამოცარიელდა, და ხალიფატის
საზღვრებზე წინანდელი პროვინციებისაგან წარმოსდგენ თით-
ქმის სავსებით დამოუკიდებელი მხედართმთავართა სამფლობე-
ლონი, ჯარს ხმარდებოდა მთელი შემოსავალი პროვინციებისა.
სამხედრო წყობილების ყველა ეს განსაკუთრებულებანი განვი-
თარდენ ჯერ კიდევ ბაღდადის ხალიფატის დაარსებამდი, არაბ-
თა მიერ უდიდესი სახელმწიფოების დაპყრობის ეპოქაში. აბა-
სიდების დროს არაბული ჯარის ცხოვრებაში მომწიფდა ზოგი-
ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება. უწინარეს ყოვლისა იმატა
მისმა რაოდენობამ და შემდეგ სახე იცვალა მან შედგენილო-
ბის მხრითაც.

დასაწყისში ჯარის რაზმები ივსებოდა მხოლოდ იმ პი-
რებით, რომელთაც წმინდა არაბული სისხლი ედგათ ძარღვებ-
ში. მათთვის ომი ნაციონალური საქმე იყო; იგი რელიგიური
ხასიათის მოღვაწეობათ ითვლებოდა. ხოლო ბოლოს ჯარი
უცხო ტომის ხალხით აივსო, ვინაიდან ხალიფებმა დამორჩი-
ლებულ ხალხებში რეკრუტი შემოიღეს. ომების დროს რეკ-
რუტი აბასიდებისაგან საუკეთესო საშვალებათ იყო მიჩნეული:
ისინი მათ მიერ დამორჩილებულ დინასტიასთან ბრძოლაში
ნაციონალურ ლაშქარს კი არა--უცხო ტომთაგან შემდგარ
ჯარს ემყარებოდენ. თან ჯარისკაცთა რიცხვიც მატულობდა.
მაგრამ ამავე დროს ხალიფები ამ მოზარდ ჯარს უყურებდენ,
როგორც სახიფათოს, მრისხანე ძალას, რომელსაც დიდი ზია-
ნის მოტანა შეეძლო იმ მოსალოდნელ შემთხვევებში, თუ
მოხთებოდა ჯარისკაცთა საერთო ამბოხება, --ამიტომ მათ
ზომები მიიღეს, რათა ეს ხიფათი თავიდან აეცილებიათ. მათ
წინანდელთან შედარებით თითქმის ნახევარჯერ შეამცირეს

ჯარისკაცთა ჯილდო. მერე შეეცადენ ჯარის ერთობის დარღვევას და მის კორპუსებათ დაყოფას ნაციონალური სხვადასხვაობის მიხედვით. ამნაირათ წარმოსდგა ხუთი სხვადასხვა ტომის კორპუსი: ჩრდილო-არაბული, სამხრეთ-არაბული, ფერგანული, რომელიც შესდგებოდა ფერგანის ოლქიდან ბაღდადის ბაზრებზე მთელი ჯგუფობით მორეკილი მონათურქებისაგან, აფრიკული და ხორასანული

მაგრამ დროს განმავლობაში ამ დაქირავებულ უცხოტომელთაგანაც გამოიწრთვნენ ნამდვილი პრეტორიანელები, ტახტის ბედის თავნებათ გამგენი.

ხმელეთით მავალ ჯარს გარდა, არაბებს ფლოტიც ჰყავდათ. უკვე პირველი ომაიადების დროსვე არაბებს შეეძლოთ საკმაოთ დიდი საზღვაო ექსპედიციები მოეწყოთ. თუმცა პირველ ხანებში თვითონ თითქმის არც იღებდენ მონაწილეობას საზღვაო მხედრობაში, მეზღვაურები დაქირავებული ჰყავდათ სირიისა და ეგვიპტის ზღვის პირას მდებარე ქალაქებიდან. ხოლო თვითონ ნაციონალური არაბული ფლოტი თანდათანობით მოეწყო. არაბული გემები უზარმაზარი და ტლანქათ მოარული იყო. ისინი კეთდებოდენ ბიძანტიური ტრირემის მსგავსათ: ორსართულიანი, თითოში მოთავსებული იყო 25—25 სკამი, ხოლო თითოეულ სკამზე—ორ-ორი მეხოპე. სხვათა შორის, იყო აგრეთვე უფრო დიდი გემებიც.

ვაჭრობა—მრეწველობა.

მაგრამ, რასაკვირველია, ხალიფატის ძლიერება მარტო ჯარს კი არ ემყარებოდა, არამედ ხალხის მშვიდობიანსა და ენერგიულ შრომასაც. ამ მხრით პირველ პლანზე დაისმის ფრიად განვითარებული არაბული ვაჭრობა-მრეწველობა. აბასიდების ეპოქა მათი უმაღლესი აყვავების დრო იყო. ბაღდა-

დი თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის მეოხებით აქეთ იქით სხივებივით მიმოფენილი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების ცენტრალურ ნასკვათ ითვლებოდა. ბაღდადიდან სამხრეთისკენ გამგზავრებული გემები მესოპოტამიის მდინარის სისტემის საშვალებით პირდაპირ ზღვაში შედიოდენ; აქ ბოლოს გაშენდა ბასორის საუკეთესო კომერციული პორტი და არაბულის სავაჭრო ფლოტის უმთავრესი სადგომი. აქიდან არაბული ვაჭრობის მოძრაობა მოედვა სპარსეთის უბის ყველა კუნძულს და მისწვდა დასავლეთით აფრიკის კიდეებს და აღმოსავლეთით —ცეილონს. თუმცა ცეილონიც არ დარჩენილა არაბულის საზღვაო ვაჭრობის უუშორეს პუნკტათ: 758 წ. ჩვენ ვხვდებით პატარა არაბულ ფლოტილიას კანტონში. ინდოეთის მთელი დასავლეთის კიდე VII—VIII სს. ერთბაშათ მოიფინა არაბული სავაჭრო ფაკტორიებით.

ბაღდადიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და განსაკუთრებით კი დასავლეთისკენ მიიმართებოდა კიდევ უფრო შესანიშნავი სავაჭრო გზები. ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზები აერთებდა ხალიფატს ჩინეთთან. არაბული და ჩინური ისტორიული ცნობები სრული თანხმობით მოგვითხრობენ მიჯრათ დაწყობილს ჩინეთს მიმავალ დესპანებზე, —და ეს დესპანები იყვნენ უბრალო მოვაჭრეთა ქარავნები. ამას გარდა, ბაღდადის დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში განვითარებული სავაჭრო მოძრაობა მრავალრიცხოვანი გზებით აერთებდა ხალიფატს აფრიკისა და ევროპის უუშორეს ბაზრებთან. აქ შეიძლება არაბთა გარე ვაჭრობის ორი უმთავრესი მიმართულების აღნიშვნა: 1) ჩრდილოეთის გზები მიიმართებოდა კასპიის ზღვის ნაპირებისკენ, საიდანაც არაბთა ქარავნები უუშორესი ჩრდილოეთისაკენ მიეშურებოდენ,—ამიტომაა, რომ პირველი აბასიდების დროის ფული რუსეთში და თითქმის შვეციაშიც ბევრ საუნჯეებში იპოვებოდა; 2) მთელი წყება გზე-

ბისა ხალიფატს აბამდა დიდებულს სალევანტო ვაჭრობაში, რომელიც აკავშირებდა ევროპას, აფრიკასა და აზიას. აფრიკაში ეგვიპტე ითვლებოდა ფრიად მნიშვნელოვან პუნკტათ, საიდანაც სავაჭრო საქონელი იზიდებოდა ხმელთაშვაზღვის პორტებში. ესპანიიდან ნილოსის ვაკისკენ მიიმართებოდა აფრიკის მთელი ჩრდილო ნაპირის გასწვრივ გადაჭიმული უდიდესი საქარავნო გზა. ძველ ქაირთან გზა ტოტებათ ნაწილდებოდა— ერთი პალესტინისკენ მიდიოდა სინაის ყელით, აქიდან სჭრიდა დამასკოს და პირდაპირ კუუსა და ბაღდადისაკენ მიიმართებოდა, მეორე—სამხრეთისკენ იყო დაქანებული ნილოსის ხეობათ და მერე საქარავნო გზათ მიდიოდა წითელ ზღვამდი, სადაც გემები იტვირთებოდა საქონლის მეორე ნაპირზე გადასატანათ. ბაღდადიდანვე ეფრატის საშვალებით მიიმართებოდა მეორე გზაც, რომელიც სჭრიდა ანტიოქიასა და ალეპოს და მიეშურებოდა სირიის ხმელთაშვაზღვის ნაპირზე გაშენებული პორტებისაკენ, სადაც არაბულ საქონელს იტალიელი ვაჭრები ეზიდებოდენ ევროპის ბაზრებზე; იყო აგრეთვე სომხეთზე გადასული ტრაპიზონს მიმავალი გზაც. ტრაპიზონი არაბების ბიძანტიელებთან ვაჭრობის შვამავალ პუნკტათ ითვლებოდა და იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომერციულ ურთიერთობაში.

ასეთი იყო უზარმაზარი, ქვეყნის სამ ნაწილში მოთავსებული ტერიტორია, რომელსაც სიგრძე-სიგანეზე სჭრიდენ არაბთა ქარავნები. ცხადია, რომ რთული, მჭიდრო ნიადაგზე დაყენებული ვაჭრობა დამყარებული უნდა ყოფილიყო ავვანილ მრეწველობაზე. და მართლაც, ხალიფატის მრავალრიცხოვანი პროვინციები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ მრეწველობის სხვადასხვა დარგის მეტ განვითარებაში. ამ მხრით არაბნი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მკიდენ უზარმაზარ დიპყრობათა მოსავალს: ხალიფატის ყოველ კუთხეს შექონდა

წვლილი სახელმწიფოს მატერიალური კეთილდღეობის განსამტკიცებლათ.

ჩვენ აქ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ არაბული მრეწველობის უფრო საყურადღებო წარმოებანი.

არაბეთი და მესოპოტამია აწარმოებდა შუშეულობასა და ფინიკს; შუშეულობის წარმოება არაბეთში საკმაოთ ადრე განვითარდა; ბაღდათი ცნობილი იყო შუშეული ნივთების კეთებით. საუკეთესო ხარისხის ფინიკი მოყავდათ ბაღდათში, სადაც ამ ხილეულის მოწევა პოპულიარულ სასოფლო დღესასწაულათ ითვლებოდა. სხვათა შორის, სპარსეთის ზოგიერთ კუთხეშიც არა ნაკლები ხარისხის ფინიკი მწიფდებოდა. თუნდა მხოლოდ ფინიკის გატანაც საკმაო იყო ბაზარზე, რომ ხალიფატის ვაჭრობისთვის ნიადაგი გაემაგრებია.

იმავე დროს სპარსეთის კიდე ითვლებოდა შაქრის წარმოების ცენტრალურ პუნკტათ. სპარსეთშივე და შემდეგ არაბეთშიც პოულობდენ რკინას; რკინეულობას ბევრ პროვინციაში ამზადებდენ. ამ მხრით არაბებმა ბევრი რამე შეისწავლეს სპარსელებისგან, რომელთაგანაც გადმოიღეს თვით სახელიც ფოლადისა („ბულატი“). ირანი, ომანი, იემენი ბლომათ ამზადებდენ იარაღსა და ჯავშნებს, სირია კი—მახვილს. ფოლადისაგან სარკეებსაც აკეთებდენ, რადგანაც მაშინ შუშის სარკე კიდევ არ იყო შემოღებული. გარდა ამისა, აბასიდების დროს ძალიან განვითარდა ქსოვილების წარმოება. უფრო მნიშვნელოვან პროვინციებს ამ დარგის ნაწარმოები გარეშე სახელმწიფოთა ბაზრებზეც გაჰქონდათ. არაბული ქსოვილები სხვადასხვა ხარისხის იყო. რასაკვირველია, ქსოვილების მასალაც არ იყო ერთგვარი. ადვილათ მისახვედრია, რომ ეს წარმოება დამყარებული იქნებოდა კარგ ნიადაგზე დაყენებულ მეჯოგეობაზე, რომელიც უფრო განვითარებულიყო წინა-აზიის კუთხეებში, სადაც ბლომათ იყო მოშენებული აქლემები, ცხენები, ვირები, ცხვრე-

ბი, თხები, კამეჩები. ხოლო წმინდათ ნაკეთები ქსოვილები მზადდებოდა ბამბისა და აბრეშუმისგან. ქსოვილები განირჩეოდა ცოცხალი ფერებით, დიდი ნახატებით და ოქროთი ნაკერაობით. ხანდახან ქსოვილებზე გამოხატული იყო მთელი სცენები, მაგალ., როგორ გლეჯს ლომი ან პანტერი აქლემს. შესანიშნავი სილამაზე ამ წარმოებისა იმდენათვე შლიდა ფრთებს, რამდენათაც საგრძნობი იყო მისი მოთხოვნილება სასახლეში და შეძლებული კლასების ოჯახებში. ხალიფები და მათი მოადგილენი — პროვინციის მართველნი — ამ ძვირფასი ქსოვილებით უკვე დადგენილი ჩვეულებისამებრ ხშირათ ასაჩუქრებდენ ახლო პირებს სხვადასხვა ბრწყინვალე დღესასწაულებში. ამ საჭიროებისათვის ირანისა, ხუზისტანისა და ფარსისტანის უმთავრეს საქარხნო პუნკტებში არსებობდა მთავრობის ქარხნები. კერძო სახლებში ძვირფასი ქსოვილები იხმარებოდა დივნებისა და კედლების მოსართავათ. კედლები მოფენილი იყო აგრეთვე აღმოსავლეთური ნოხებით, რომელთა წარმოებაც შვა აზიაში ძველათვე იყო განვითარებული. ქსოვილებისა და ნოხების წარმოება შემდეგში არაბთა ვაჭრობას მთავარ საფუძვლათ დაედვა; ნაწარმოები ძალიან ძვირათ ფასდებოდა დასავლეთში, სადაც იგი ბლომათ გადაჰქონდათ გენუელებსა და ვენეციელებს.

ეგვიპტის დაპყრობამ, თავისი მხრით, პირველათ მისცა საბაბი ხალიფატში **ქაღალდის** წარმოებას. იქ არაბები პირველათ წააწყდენ პაპირუსს. ნილის დელტის მიდამოები რამდენსამე ხანს ხალიფატში ქაღალდის წარმოების უმთავრეს ცენტრათ ითვლებოდა, მაგრამ ბოლოს სხვადასხვა გარემოების მეოხებით არაბებმა წინ გაუსწრეს ეგვიპტელებს. ჩინური ნიშუშის წაბაძვით ხალიფატში ბამბის ადგილობრივი წარმოება განვითარდა. მრეწველობის ამ ახალი დარგის განვითარების ცენტრათ გახთა სამარკანდი. სარაცინებმა ბამბა ევროპაშიც,

გადაიტანეს, და პაპირუსს იქ მალე დაეკარგა მნიშვნელობა. გარდა ამისა, არაბული მრეწველობის ფრიად საყურადღებო დარგათ ითვლება აღმოსავლეთი აზიის დამახასიათებელი წარმოება — პარფიუმერია. სპეციალისტი მრეწველნი მცენარეულობისაგან სხვადასხვა ზეთისა და სურნელოვანი წყლის მოამზადებაში არაჩვეულებრივ გაწრთვნილობას იჩენდენ. დიდათ განვითარებული პარფიუმერიის წარმოება უმთავრესათ ახასიათებს აღმოსავლეთის ფუფუნებაში გამოკვერილ ზნე-ჩვეულებას, მაგრამ იგივე წარმოება მეორე მხრით გვიჩვენებს ხალიფატში მრეწველობის სხვა დარგის განვითარებასაც; ეს იყო ბაღოსნობა და მიწისმუშაობა. ისე, ვით სიმრავლე და მდიდრულობა არაბული ქსოვილებისა დამოკიდებული იყო მეჯოგეობის განვითარებაზე, ამ რიგათვე მცენარეულობის ნაყოფის ექსპლუატაციაც პირველ ყოვლისა მიწის რიგიანათ დამუშავების შედეგი იყო.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა.

და მართლაც, ძალიან განვითარებულს სხვა და სხვა გვარ მრეწველობასთან ერთად, მეურნეობასაც საპატიო ადგილი ეკავა ხალიფატის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ მხრითაც, როგორც სხვა ბევრ შემთხვევაშიც, არაბები მათ მიერ დაპრყრობილი ხალხების მოწაფეებათა და მათსავე მემკვიდრეებათ ითვლებოდენ. ეგვიპტეს, სირიასა და მესოპოტამიას უკვე დიდიხნის შემუშავებული ჰქონდათ მეურნეობის ნამდვილი კულტურა მაშინ, როცა არაბები თავის სამშობლო კუნძულზე სამუშაო დროს მხოლოდ ნადირობას, მეთევზეობას, მეჯოგეობასა და ფინიკის მოწევას ახმარებდენ. მაგრამ არაბები მალე შეეწყვენ ცხოვრების ახალ პირობებს. ‘ათ ისტორიისა და ქვეყნის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვისთ სხვა და სხვა კულტურული მცენარის გავრცელება-გაუმჯობესობის საქმეში; ბევრი ინდიური მცენარე მოშენდა ევროპაში არაბთა მეოხებით. აფრიკაი

ში პირველათ არაბებმა შეიტანეს ბრინჯის კულტურა. ხოლო იქიდან ეს კულტურა მიწვდა სიცილიასა და ესპანიას. ბრინჯს მოყვა ინდიგო, რომლის გავრცელებასაც განსაკუთრებული გულმოდგინებით მოსჭიდეს ხელი ვენეციელებმა, როგორც კი ინდოეთიდან ლევანტის პორტში შემოიტანეს იგი არაბებმა; ზაფრანაც მათგანვეა პირველად შემოტანილი ევროპაში; ბამბა უკვე დიდიხნის ცნობილი იყო არაბეთში, მაგრამ მხოლოდ ხალიფების ეპოქაში იქმნა იგი მიჩნეული მრეწველობის ერთი დარგის საწარმოო მასალათ; იგი ჰარუნ-ალრაშიდის დროს ბაბილონშიც შეიტანეს. სელისა და კანაფის კულტურა უკვე საკმაოთ იყო განვითარებული სირიასა და ეგვიპტეში ხალიფატის დაარსების დროს. კანაფის მოყვანა უმეტესათ გავრცელდა მას მერე, რაც ამ მცენარის ფოთლებისაგან გაშიშის მომზადება შეისწავლეს.

თუთის ხეების გაშენება სპარსეთის ჩრდილო პროვინციებში არაბთა მოსვლამდი განვითარდა. მაგრამ არაბები თავისი მხრითაც ხელს უწყობდენ მათი კულტურის განვითარებას. მათ თუთის ხეები ესპანიაშიც მოაშენეს. ამას გარდა, არაბებმა აქეთ-იქით მოფინეს თავისი სამშობლო კუთხის ხე—პალმა. პალმა, შეიძლება ასე ვსთქვათ, არაბების განუყრელი თანამგზავრი იყო მათს მოგზაურობაში: ბასორა გარშემოირტყა პალმის თვალუწვდენელი ტყეებით, პალმა გავრცელდა ბაღდადშიც, სადაც ეს მცენარე სრულებით არ მოიპოვებოდა ქალაქის აშენების დროს; შემდეგ არაბებმა პალმა დასავლეთში შეიტანეს და მერე—ესპანიაშიც. მაგრამ არაბნი არ დაკმაყოფილებულან მარტო ამ შვამავლის როლის შესრულებით კულტურული მცენარეების გავრცელებაში: მათ დიდი ღვაწლი მიუძღვისთ თვითონ მიწის კულტურისა და მიწის დამუშავების სხვადასხვა საშვალების გაუმჯობესებაში, ისინი გულმოდგინეთ სწავლობდენ ძველი ეგვიპტის, სირიისა და

ბაბილონისა მრეწველობის აგრონომიულ სისტემებს და ცდილობდენ ხელოვნური რწყვისა და დანოყიერების სხვა და სხვა საშვალების განვითარებას. მათი ინტენსიური მეურნეობის დამყარებისადმი მისწრაფებით აიხსნება ერთი ორიგინალური ბასორში შემოღებული ჩვეულება: განსაზღვრულ დროს გამოცხადდებოდა ხოლმე საჯარო ვაჭრობა ქალაქში მოგროვილის კაცის სკორესი (განავალის), და ამ საჯარო ვაჭრობაზე იკრიბებოდენ მიდამოებიდან მიწათმფლობელნი; სკორეს ყიდულობდენ და მინდვრებში გადაჰქონდათ ნიადაგის დასანოყიერებლათ.

მეურნეობასთან ერთად ყვაოდა ბაღოსნობაც. უდიდესი ბაღები ამშვენებდა ქალაქებს, როგორც მაგალ. ბაღდადს. ბაღებს ინახავდენ დიდი გემოვნებითა და მზრუნველობითი სიყვარულით. ჩვეულებრივათ, ქვაფენილის სწორკუთხიანი ალეების გასწვრივ მიჯრათ ჩარიგებულიყვნენ მოგრძელო ყვავილნარები, გარშემორტყმულნი ქვითა და მოკლეთ შეჭრილი კვინჩხით. ბაღწარები მოქარგული იყვნენ არაბთა საყვარელი ყვავილებით; იქ ყვაოდა ვარდი, ზამბახი, ნარგიზ-ლოტოსი, იასამანი, მიხაკი და რეჰანი. ყვავილნართა შორის ჯგუფებით იყვნენ ჩამწკრივებული სწორი და მოყვანილი საუკეთესო ჯიშის ხეები; კიპაროსის, პალმის, ლიმონისა და ფორთოხლის ან ოლეანდრის, დაფნისა და მირტის ბუჩქებში.

ხეივნები ვაზებით იყო ჩამოხურული და მოჩრდილული. მწვანეში მოწყობილი ხელოვნური ჩანჩქრები წყლით ავსებდენ მარმარილოს აუზებს. ყველაფერს აჩნდა გამობრძმედილი ხელოვნების ბეჭედი, ბეჭედი მკაცრის, აღმოსავლეთური ეთიკეტისა.

მცხოვრებთა კლასებათ დაყოფა.

ჩვენ განვიხილეთ ბაღდადის ხალიფატის სახელმწიფო წესწყობილება და ის საფუძვლები, რომელთაც ემყარებოდა სა-

ხელმწიფოს ძლიერება და ხალხის კეთილდღეობა. ახლა ის ღა დაგვრჩენია, რომ გავიცნოთ თვით ხალხი, რომელიც ცხოვრობდა აქვე აწერილი წესებითა და სხვა და სხვა გვარი შრომით.

ხალიფატის მცხოვრებნი დაყოფილი იყვნენ კლასებათ; ეს კლასებათ დაყოფა პირველათ რელიგიურისა და ტომური სხვადასხვაობის ნიადაგზე წარმოიშვა. საზოგადოების კლასობრივ სხვადასხვაობაში, როგორც ბეგრის განაწილებაშიც (იხ, ზევით) პირველად ყოვლისა განირჩეოდენ გამარჯვებული არაბები დამარცხებულ ქვეშევრდომთაგან, მუსულმანები ურწმუნოთაგან. აქიდან ადვილი გასაგებია, თუ რატომ რთულდებოდა არაბთა წოდებრივი სხვადასხვაობა მათ მიერ დაპყრობილი მხარეების საზღვართა გაფართოებასთან ერთად. მოწინავე საზოგადოებას შეადგენდენ წმინდა ჯიშის არაბნი— დამპყრობელნი. თავისუფალი არაბი—ხალხი უძველესი დროიდანვე გვარებათ იყოფოდა. ისლამის დამყარებას შემდეგ ამ გვართა შორის თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობითა და ძლიერებით წან წამოიწიენ წინასწარმეტყველის მეგობარნი (ასხაბები) და პირველი მისი მიმდევარნი (ანსარები და მოჰაჯირები), რომელთაც შეადგინეს ერთგვარი რელიგიური ხასიათის არისტოკრატია. ლაშქრობით გამოწვეული ხშირი მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყნებში, რასაკვირველია, არევდა მონათესავე გვარების წინანდელ ერთობას; ხშირათ გვარის ერთი ნაწილი შორეულ ომებში მიდიოდა, მეორე ბინაზე რჩებოდა. მაგრამ მაინც, არაბები მაგრათ ჩასჭიდებოდენ თავის წარსულს, თითქმის ესწრაფოდენ კიდეც, რომ საგვარო წყობილებისათვის ხელოვნურათ მაინც გაემჭიდროებიათ ნიადაგი. სუსტისა და თანდათან გადაშენებული გვარის წევრები საჩქაროთ უერთდებოდენ უფრო ძლიერ გვარეულობას.

დაპყრობამ შექმნა არაბთა საზოგადოების ორი სხვა კლასი: **კლასი მონათა** და **კლიენტთა**. სამხედრო ტყვეობა—მო-

ნობის წყარო იყო. შემოღებული ჩვეულებისამებრ, თუ უცხო ტომი ნებაყოფლობით არ დანებდებოდა არაბებს, და არაბები იძულებული ხთებოდენ ბრძოლით დაემორჩილებიათ ისინი, მაშინ მოწინააღმდეგე ტომის მამაკაცები სიკვდილით ისჯებოდენ, ხოლო დედაკაცნი და ბავშები მონებათ ხთებოდენ; მათგან 4/5 ნაწილი ითვლებოდა ჯარის საკუთრებათ, ხოლო 1/5 — ხალიფის დავლას შეადგენდა. შემდეგში მონათა კლასის გადიდებას ლაშქრობას გარდა ტყვეების ყიდვა-გაყიდვამაც შეუწყო ხელი. მონები უმთავრესათ ორი კუთხიდან მოყავდათ: ფერანგის მიდამოებიდან — მონა-თურქები და აფრიკიდან — ზანგები და ბერბერები. ომითა და ვაჭრობით ნაზარდს მონათა კლასს სიმრავლით პირველი ადგილი ეკავა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მონებს ღონისძიება ეძლეოდათ მუსულმანობის მიღებითა და არაბული ენის შესწავლით სრულუფლებიანი გამხთარიყვნენ.

ამ პირობების ასრულებით მონები კლიენტებათ ხთებოდენ. კლიენტები ანუ ახლათმოქცეული მუსულმანები შეადგენდენ საშვალო წოდებას თავისუფალს სრულუფლებიან არაბთა და მონათა შორის. წოდებრივი დანაწილების რელიგიური საფუძველის მიხედვით კლიენტები მონებზე მაღლა იდგენ, ხოლო ტომური წარმოდგომის მხრით — თავისუფალ არაბებთან შედარებით დაბალი საფეხური ეკავათ. მიუხედავათ ყურანის პირდაპირი ბძანებისა, რათა მუსულმანებს მიეჩნია ერთმანეთი სრულუფლებიან ძმებათ, წმინდა ჯიშის არაბებს არ უნდოდათ ახლათმოქცეულ უცხოტომელებთან ერთად ერთ დაფაზე მოთავსებულიყვნენ. ამ უკანასკნელთაგან წინანდებურათ კრეფდენ ხარაჯსა და ჯიზიეს, რისგანაც თავისუფალი იყვნენ მოდგმით მუსულმანები; ახლათ მოქცეულთ მაღლიდან დასცქეროდენ მოდგმით - მუსულმანები, და მათ დამოყვრებას გაურბოდენ. აბასიდების ეპოქაში კი ახლათ მოქცეულთა საზოგადოებრივი მდგომარეობა განუმჯობესდა. (აბასიდებმა მიაღწიეს თუ არა ტახტის ფლობელობას სპარსელების გავლენით ისინი

დაემყარენ ყურანის ტექსტებს, რომელშიც გატარებული იყო მუსულმანთა საყოველთაო სრულუფლებიანობის იდეა და გამოთქმული იყო აზრი დროთა ბრუნვაში ტომების ბუნებრივათ გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. კლეინტებს ახლა უკვე ხშირათ ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი და ეს მოხდა უმთავრესათ ერთი მხრით თვით მთავრობის მეოხებით, რომელიც მუსულმანთა სწორუფლებიანობის იდეას ქადაგობდა, და მეორე, მხრით თვით კლეინტებმა შესძლეს—ბრძოლით მოეპოვებიათ საზოგადოებაში საპატიო ადგილი. ამ კლასმა უმთავრესათ განვითარა ვაჭრობა-მრეწველობა და ენერგიული სამეცნიერო მოძრაობა. ამ კლასმა წარმოშვა იურისტები და ღვთისმეტყველები, რომელთა შრომამაც ნიადაგი განუმტკიცა გონებრივ ცხოვრებას.

პირვანდელი მარტივი დაყოფა საზოგადოებისა დაფუძნებული დაპყრობა-დამორჩილებასა და რელიგიურ სხვადასხვაობაზე, თანდათან გართულდა. სახელმწიფოსა და ხალხის მრავალმხრივი ცხორების განვითარებასთან ერთად, თვითონ თავასუფალ კლასშიც დაიწყო დანაწილების პროცესი შრომის სხვადასხვაობის ნიადაგზე წამოჭრილი. თავისუფალი კლასიდან იყვნენ გამოსული კარისკაცები, მოხელეები, სასულიერო პირები, ვაჭრები, ხელოსნები. ხელოსნებმა თავისი მხრით დააარსეს სხვადასხვა შრომის კავშირები, რომელთა სათავეშიც იდგენ მათი წრიდან ამორჩეული წარმომადგენლები და ამრიგათ მოაწყვეს რაღაც ცეხების მსგავსი.

მაშინ, როცა მოქალაქეთა კლასი უმთავრესათ ახლათმოქცეულთაგან შესდგებოდა, არაბთა ბევრი ტომი არ ღალატობდა ტრადიციას—და მისდევდა მეურნეობას, მეჯოგეობასა და სამხედრო სამსახურს.

2
d 732